საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუნი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭირებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკარგისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 26 ნოემბერი. 2019 წ. №233 (8899) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ეს, ჩვენზე ბრალია!

თემა დახურულია, არავითარი დათმობა არ იქნება!

ოპოზიციას კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, დაიცვან კანონი და არჩევნებში მონაწილეობისკენ მიმართონ თავიანთი ძალისხმევა!

გასული დღეების განმავლობაში, ჩვენი პარტიის სახელით, საზოგადოებას არაერთგზის მკაფიოდ გავაცანით საკუთარი დამოკიდებულება იმ პოლიტიკური პროცესების შესახებ, რომლებიც საარჩევნო სისტემის საკითხის გარშემო განვითარდა.

თუმცა, ვინაიდან ამ თემის გარშემო კვლავაც არ წყდება პოლიტიკური სპეკულაციები, გვსურს, საზოგადოებას ჩვენი პოზიცია რამდენიმე გზავნილით კიდევ ერთხელ გავუზიაროთ:

პირველი: პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე 2020 წლიდან გადასვლა „ქართული ოცნების“ ცალმხრივი პოლიტიკური ინიციატივა იყო.

მიუხედავად გუნდის ხელმძღვანელობის ძალისხმევისა, სამწუხაროდ, კანონპროექტმა პარლამენტის წევრთა შესაბამისი მხარდაჭერა ვერ მიიღო.

აღნიშნული შედეგი, მაჟორიტარი დეპუტატების ბუნებრივ წინააღმდეგობასთან ერთად, დესტრუქციული ოპოზიციის უპასუხისმგებლო მოქმედებებმაც განაპირობა;

მეორე: ყველასათვის ნათელია, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში არსებული განწყობების გათვალისწინებით, რაიმე ახალი საკონსტიტუციო ცვლილების გარშემო 113 ხმის მობილიზების რესურსი დღეის მდგომარეობით არ არსებობს.

შესაბამისად, თემა დახურულია. 2020 წლისთვის შენარჩუნდება შერეული საარჩევნო სისტემა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს სრულად შეესაბამება.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკურმა სპექტრმა მთელი თავისი ძალისხმევა არჩევნებისთვის მზადებისა და არჩევნების მაღალი დემოკრატიული სტანდარტით ჩატარებისკენ უნდა მიმართოს;

მესამე: „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი დანამატები ფიზიკური დესტრუქციისთვის იურიდიული საბაბის შექმნას ცდილობენ და გვთავაზობენ ე.წ. გერმანულ მოდელს, რომელიც მათი მტკიცებით, თითქოს, არ ეწინააღმდეგება მოქმედ კონსტიტუციას.

აქ, ნათლად იკითხება „ნაციონალური მოძრაობის“ ჩვეული ხელწერა, რომელიც სიცრუის ტირაჟირებით ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

ეს არის შეგნებული სიცრუე, რაც უმარტივესი სამართლებრივი, ლოგიკური და არითმეტიკული ანალიზითაც კი დასტურდება.

შესაბამის არგუმენტებს აქტიურად ვუზიარებთ საზოგადოებას და მზად ვართ, ეს არგუმენტები ყველა დაინტერესებულ პირს სხვადასხვა საჯარო პლატფორმის მეშვეობით წარვუდგინოთ;

მეოთხე: ჯერ კიდევ 2017 წელს, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის ცალმხრივი ინიციატივითა და ძალისხმევით, კონსტიტუციაში აისახა 2024 წლიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება.

შეგახსენებთ, რომ ამ პროცესს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა განშტოებებმა ბოიკოტი გამოუცხადეს.

დღესაც სწორედ ეს ადამიანები, ზუსტად იგივე შემადგენლობით, დგანან ქუჩაში და კანონსაწინააღმდეგო დესტრუქციული ნაბიჯებით ცდილობენ, პრობლემა შეუქმნან ქვეყნის მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებას.

ეს ის გუნდია, რომელმაც 2008 წლის მარტში ხალხის გადაწყვეტილების, ანუ რეფერენდუმის შედეგების რევიზია, საპარლამენტო კენჭისყრის გზით, საკუთარი ვიწროპარტიული და საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარე განახორციელა და მაჟორიტარული კომპონენტი გააძლიერა, კერძოდ და კონკრეტულად – 50 მაჟორიტარული მანდატი 75-მდე გაზარდა, პროპორციული წესით ასარჩევი 100 დეპუტატის რიცხოვნობა 75-მდე შეამცირა.

ეს ის გუნდია, რომელმაც 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელებისას, საარჩევნო სისტემის ცვლილება განხილვის საგნადაც კი არ აქცია.

მოგვიანებით, ამავე გუნდმა და მისმა ლიდერმა სააკაშვილმა სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ დისკუსია ტაბუდადებულ თემად გამოაცხადეს. შეგახსენებთ, რომ 2010 წლის ანტიდემოკრატიული საკონსტიტუციო ცვლილებები იმ პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ე.წ. ექსპერტების თანამონაწილეობით განხორციელდა, რომლებიც დღესაც ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს ემსახურებიან და მის გვერდით დგანან.

ამ პოლიტიკურ სუბიექტებს არა აქვთ არავითარი მორალური უფლება, პროპორციულ სისტემაზე დასანანი ვერგადასვლის გამო, „ქართულ ოცნებას“ რაიმე პოლიტიკური ბრალდება წაუყენონ.

მათ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ დესტრუქციული მოქმედებებისგან, დაიცვან კანონი და საკუთარი ძალისხმევა დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობისკენ მიმართონ;

მეხუთე: როგორც მოგეხსენებათ, საპარლამენტო უმრავლესობაში არის მაჟორიტარ დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლის ინიციატივით გამოდის.

გუშინ და დღეს, გუნდში გამართული კონსულტაციების შედეგად, ჩვენ ისინი დავარწმუნეთ, რომ გუნდი 2020 წლის არჩევნებისთვის ვერც ერთ ახალ ინიციატივას ვერ განიხილავს.

თუმცა, ჩვენ გაგებით ვეკიდებით მათ ზოგად ინიციატივას და შევთანხმდით, რომ ისინი გააგრძელებენ ამ მიმართულებით საქმიანობას, ოღონდ იმ პირობით, რომ საარჩევნო რეფორმის საკითხი საერთო-სახალხო კენჭისყრაზე 2020 წლის საპარლამენტო ან 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს დადგება.

ბოლოს: მივიღეთ გადაწყვეტილება, არ დავაყენოთ ჩვენი კანდიდატები იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, სადაც, „ნაციონალური მოძრაობის“ ორი ძირითადი ფრთისა და მისი დანამატების გარდა, დანარჩენი ოპოზიციის ნებისმიერ წარმომადგენელს ან დამოუკიდებელ კანდიდატს ექნება გამარჯვების რეალური შანსი.

შედეგად, უზრუნველყოფთ მომავალი პარლამენტის მაქსიმალურ პოლიტიკურ მრავალფეროვნებას.

გზას გავუხსნით ორგანიზაციულად სუსტ, მაგრამ ავტორიტეტის მქონე პოლიტიკურ ჯგუფებს და აქტიურ ადამიანებს, რათა მათ უშუალო და ქმედითი მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების განხორციელების პროცესში, რაც იყო კიდეც ჩვენს მიერ ივნისში წარდგენილი საარჩევნო შეთავაზების ყველაზე მთავარი იდეა...

კახა კალაძე,
პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივანი

სამების საკათედრო ტაძარში 61-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართა

24 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ჩვილთა 61-ე საყოველთაო ნათლობა ჩატარდა. საქართველოს საპატრიარქოს ცნობით, ამჯერად პატრიარქის ნათლული 500-მდე ბავშვი გახდა. დღეისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 40 000-ზე მეტი ნათლული ჰყავს.

„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“

6 7

პასუხი აკადემიკოს ა. კორახაშვილის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა/წ 7 ნოემბერს გამოქვეყნებულ სტატიაზე „ცრუმეცნიერების განსაკითხად: შეფუთული სიყალბე“.

თალაკვაძეს 7 მოადგილე ეყოლება, შესანიშნავი შვიდეულის ვინაობა ცნობილია

პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძეს 7 მოადგილე ეყოლება. არსებული ინფორმაციით, ვიცე-სპიკერი ხდება მამუკა მდინარაძე, რომელიც ამავე დროს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერიც იქნება, ასევე ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე ინაცვლებენ გიორგი კახიანი და კახა კუჭავა (საგარეო მიმართულებით), გია ვოლსკი კი, რომელსაც ამ დრომდე ვიცე-სპიკერის და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პოსტები ეკავა, პირველი ვიცე-სპიკერი იქნება. როგორც ცნობილია, გარდა აღნიშნული პირებისა, სპიკერატში, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები ასევე უკავიათ აჭარაში არჩეულ დეპუტატ ილია ნაკაშიძეს და ოპოზიციის კვოტით არჩეულ სერგი კაპანაძეს და ირმა ინანშვილს.

რაც შეეხება კომიტეტების თავმჯდომარეებს, ევროინტეგრაციის კომიტეტს თამარ ხულორდავას ნაცვლად დავით სონღულაშვილი უხელმძღვანელებს, საგარეო კომიტეტს სოფო ქაცარავასგან ირაკლი ბერაია გადაიბარებს, გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კი ნინო წილოსანი იქნება. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ხელმძღვანელად რჩება რომან კაკულია.

ვაკანტურ საპარლამენტო თანამდებობებზე დასანიშნი პირების საკითხზე საბოლოო შეთანხმება უმრავლესობის გუშინდელ სხდომაზე შედგა. მმართველ გუნდში მიღებული გადაწყვეტილებები დეტალურად პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გახდა ცნობილი.

ვაშინგტონში არსებობს შეშფოთება და კითხვები...

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ვაშინგტონში გამართულ შეხვედრებზე საუბარი პროპორციული საარჩევნო სისტემის რეფორმის დაპირებასაც შეეხო. **ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მან ამერიკელ კოლეგებს „ვითარება აუხსნა“.** თუმცა, მიმომხილველები ამერიკის დედაქალაქში, ხაზს უსვამენ, რომ ისინი თბილისში განვითარებული მოვლენებით, შეშფოთებულნი არიან.

„გეტყვით, რომ გულწრფელად ავუხსენი ამერიკელებს ეს ვითარება (პროპორციული საარჩევნო სისტემის ჩაგდება). ხანდახან პროცესები არ ჩანს და არ აღიქმება სწორად, მათ შორის, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების წარმომადგენლების მხრიდან. ექსპერტები ახსენეთ თქვენ, მე მათ სრული ინფორმაცია გადავეცი და ავუხსენი ეს მდგომარეობა. აბსოლუტურად გასაგებია“... — თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა ერთ-ერთ შეხვედრაზე.

ღარიბაშვილის კომენტარი „ატლანტიკურ საბჭოში“ გამართულ დისკუსიასაც შეეხებოდა, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, ექპერტები და რეგიონის მკვლევარები ესწრებოდნენ. **„პრობლემები ყველგან არის. იდეალური სისტემა არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს, ყველა ქვეყანაშია პრობლემები, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში და ყველგან. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყოველთვის უნდა შევადაროთ, რა იყო და რა გვაქვს“,** — განაცხადა ირაკლი ღაბიშვილმა.

ღარიბაშვილის შეფასების პასუხად, ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში უილიამ კორტნი, რომელიც ამავე შეხვედრას ესწრებოდა, ამბობს, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენები დასავლეთში შეშფოთებას იწვევს.

„დასავლეთში არსებობს კითხვები და შეშფოთება. ასევე არსებობს რწმენა, რომ საქართველო არის დემოკრატიულ გზაზე, თუმცა ისინი განიხილავენ ამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, როგორც უკუსვლას. დასავლეთში ამ მოვლენებს აღიქვამენ, როგორც ნიშანს, რომ ხალხსა და მთავრობას შორის უფსკრული გაღრმავდა. შესაძლოა მთავრობა ვერ ხედავს, თუ როგორი ფართოა ეს სიცარიელე ხალხისა და მთავრობის მოლოდინებს შორის“, — განაცხადა კორტნიმ.

„ამერიკის ხმასთან“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის შესახებ, საუბრობს ასევე ლუკ კოფი, ჰერიტიჯის ფონდის“ მკვლევარი, რომელიც ამბობს, რომ უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები დასავლეთში საქართველოს მთავრობის სანდოობაზე აჩენს კითხვებს და სამწუხაროა, რომ საქართველოს მოსახლეობას საკუთარი სურვილის გამოხატვა მხოლოდ ქუჩაში გასვლით შეუძლია და არა ინსტიტუტების მეშვეობით. ის ასევე პასუხობს ღარიბაშვილის კომენტარს იმ პარალელებთან დაკავშირებით, რომელიც ღარიბაშვილმა დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებს და საქართველოს გამოწვევებს შორის გაავლო.

„შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს უფრო ძლიერი ინსტიტუტები აქვთ და ეს არ ამართლებს საქართველოს მთავრობის მიერ (პროპორციული არჩევნების ჩატარების) დაპირების უკან წაღებას. ახლა ამის დრო არაა. თუ საქართველოს უნდა, რომ დასავლეთში პოზიტიურად აღიქვამდნენ, ამისთვის მოდელად უნდა დარჩეს, განსაკუთრებით იმიტომ რომ დასავლეთის ყურადღება გაფანტულია. თუ საქართველო ამ გზიდან გადაუხვევს, რთული იქნება საქართველოს მეგობრებისთვის, საქართველოზე ვაშინგტონის და ბრიუსელის ყურადღების ფოკუსი შეინარჩუნონ“, — განაცხადა კოფიმ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ვიზიტის ფარგლებში, პენტაგონის წარმომადგენლებს, მათ შორის თავდაცვის მდივნის მოადგილეს, ჯორჯიის შტატში ეროვნული გვარდიის და რეგიონზე მომუშავე კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებს შეხვდა.

ანი ჩხიკვაძე



საქართველო ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა 27 ნოემბრიდან იქნება

საქართველო, 2019 წლის 27 ნოემბრიდან 2020 წლის 15 მაისამდე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თავმჯდომარეობის გადაცემის ოფიციალური ცერემონია სტრასბურგში, მიმდინარე წლის 27 ნოემბერს გაიმართება. საქართველო თავმჯდომარეობას საფრანგეთისგან ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე გადაიბარებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი სტრასბურგს ეწვევა. ასევე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროში ხვალ პრესკონფერენცია გაიმართება, ხვალვე გავრცელდება ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოს პრიორიტეტების შესახებ ვრცელი ინფორმაცია და დავით ზალკალიანის ვიდეომიმართვა.

„აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველო ხდება საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანა“, — აცხადებს საგარეო საქმეთა სამინისტრო. თავმჯდომარეობის ექვსი თვის განმავლობაში საქართველო ევროპის საბჭოს ფარგლებში 20-მდე ღონისძიებას გაუწევს ორგანიზებას.

თეთრიწყარო საზოგადოებრივმა ცენტრმა დაამშვენა

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, **იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა 72-ე საზოგადოებრივი ცენტრი ამჯერად ქალაქ თეთრიწყაროში გახსნა.**

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, პროექტის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის თანამედროვე სტანდარტების ახალ შენობაში საჯარო და კერძო სექტორის სერვისების კომფორტულ გარემოში მიწოდება.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ თეთრიწყაროსა და გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ჩანქსელიანი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული შოთა რეხვიაშვილი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ქორიძე, სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ზურაბ სანიკიძე და მოწვეული სტუმრები.

საზოგადოებრივი ცენტრი თეთრიწყაროსა და მიმდებარე 21 სოფლის — ასურეთის, ენაგეთის, შავსაყდრის, ჯორჯიაშვილის, ბოგვის, საღრაშენის, ფარცხისის, ტბისის, ჩხიკვთას, აბელიანის, ირაგას, ივანოვკას, ალექსეევკას, ჭივჭავის, ჯვარას, წინწყაროს, ხაიშის, გოლთეთის, დაღეთის, სამშვილდესა და მაწევანის 23 000-მდე მოსახლეს მოემსახურება.

საზოგადოებრივ ცენტრში მომხმარებელს ადგილიდან გაუსვლელად ერთი ფანჯრის პრინციპით შეუძლია, მიიღოს 200-ზე მეტი სახელმწიფო და კერძო სერვისი, მათ შორის, პასპორტი-პირადობის მოწმობა, დაარეგისტრიროს ქორწინება, აიღოს დაბადების მოწმობა, გააკეთოს განცხადება მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენაზე, განახორციელოს უძრავი ქონების რეგისტრაცია, მიიღოს საარქივო მომსახურება და სხვა.

მსგავსები ერთად გროვდებიან

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა კომენტარი გააკეთა მიხეილ სააკაშვილის, გუბაზ სანიკიძისა და ვალერი გელბახიანის შეხვედრაზე უკრაინაში. წულუკიანის შეფასებით, „მსგავსები ერთად გროვდებიან“.

„ამ ვიზიტზე ფრანგული ანდაზა მახსენდება, რომელიც დაახლოებით ასე ითარგმნება — ვინც ერთმანეთს გავს, ერთად გროვდებიან“, — განაცხადა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუბაზ სანიკიძესა და ვალერი გელბახიანს უკრაინაში 23 ნოემბერს შეხვდა.

ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო!..

ბრძოლა სავარძლებისათვის

დაილოცოს ქართველი ხალხი და მის მიერ შექმნილი სიბრძნის სამყარო — ქართული ანდაზები! ტელევიზიით ვუყურებ რუსთაველზე, პარლამენტის წინ შეკრებილ მომიტინგეთა ბრბოს (უკაცრავად ამ სიტყვაზე) და მაშინვე ესა თუ ის ქართული ანდაზა გამიელვებს თავში. მაგალითად, მწყობრად მომდინარე ჩაფხუტიანმა სპეცრაზმელებმა რომ აქეთ-იქით აბურთავეს და მითელ-მოთელეს ხმამაღლა „მყივანი“ **გიგი უგულავა,** ეს ანდაზა გამახსენა: **„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“**. ეს ანდაზა, რასაკვირველია, ეხება სხვებსაც, უგულავას „ძმათა და დათა“, მაგალითად, **თინა ბოკუჩავას**. ეს ანგაჟირებული ქალბატონი ჩაფხუტიანებს წინ რომ გადაუდგა და ხმაჩახლეჩით რომ მოუწოდებდა: „შეჩერდით, რას შვრებითო,“ ხან მაია წყნეთელი დამიდგა თვალწინ, ხან რევოლუციონერი ჟანა დარკი, ხან სიმონ ჩიქოვანის გენიალური ლექსის „ქართველი დედის“ გმირი და უბედური ქართველი დედა, ხანაც დიდი სამამულო ომის სახელგანთქმულ პლაკატზე „დედა-სამშობლო გვეძახის!“ (სხვათა შორის, ამ პლაკატის ავტორი ქართველი ირაკლი თოიძეა) ხელაღმართული დედა! თუ რა განსხვავებაა თინა ბოკუჩავასა და აქ ჩამოთვლილთა შორის, მკითხველისთვის მიმინდვია(!), მე კი ქართული ანდაზა გამახსენდა: **„სადაც სოფლის ნახირი, იქ ჩემი ხბოცაო“**. ეს ანდაზა, რასაკვირველია, სხვა პარტიათა თუ მიტინგების ე. წ. „ლიდერებსაც“ ეხებათ და როდესაც ლეიბორისტების ოფისში ოცი თუ ოცზე მეტი ლიდერი ერთად „შეკრბა“, ისევ ქართული ანდაზა გამახსენდა: **„ბუზს რა ჰქონდა, ყვავს გაჰქონდაო“**.

გამახსენდა აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის შემოძახილი: „ვაი, თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!“ (აქამდე ერთმანეთს აფურთხებდნენ, ახლა კი ერთად დასხდნენ? ე.ი. გადაფურთხებული ალოკეს?!)

წინა პერმანენტული, 3-4-თვიანი მიტინგების დროსაც, როდესაც ნაციონალები და მათი გოშიები ხმაჩახლეჩით გაჰკიოდნენ: „გახარია გადადგესო!“ და როდესაც **ბატონი გახარია „გადადგა“** სენდა: **„თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“(!)**.

ეს ქვეყნის დამაძცევარი, ტენდენციური ტელევიზიები 15-20 წელი სულ ერთსა და იმავე „პოლიტიკურ სახეებს“ (უფრო სწორად- „გვამებს“) რომ გვაჩვენებენ ეკრანზე, მოდი და ნუ გაგახსენდება ისევ ქართული ანდაზა: **„ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო“!**

ხუმრობა იქით იყოს და, **ახლა მთავარი ვიკითხოთ:** რას ეძღვნება, რატომ იმართება ეს მიტინგები? **ყველა კარგად ვხვდებით, რომ ეს მიტინგები, არც მეტი და არც ნაკლები, არის მხოლოდ ბრძოლა სავარძლებისთვის! ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც!**

მე მეგონა, რომ მომიტინგენი იმიტომ „შეკრბნენ“ პარლამენტის წინ, რომ: — ჩვენს ქვეყანაში ათიათასობით ბავშვი შიმშილობს და მათ დავეხმაროთ, ლუკმა გავუწოდოთო! — მედიკამენტებისა და ბენზინის მაფიას შევებრძოლოთ და ფასები დავაკლებინოთო! — ქვეყანაში გაბატონებულ ყაჩაღ-ბანკირებს სესხის პროცენტი დავაწევინოთო! ქართველების დემოგრაფიულ კატასტროფას როგორმე წინ აღვუდგეთ და გავმრავლდეთო! — ხალხის სულიერი ამაღლებისთვის სხვადასხვა გზები დავსახოთო. — ქვეყანაში ღარიბ-ღატაკთა რიცხვი როგორმე შევამციროთო და ა.შ. და ა.შ.

არა, ბატონებო, ეს საკითხები სულაც არ ანაღვლებთ მომიტინგეებს. ადარდებთ მხოლოდ ის, რომ პარლამენტში როგორმე გაძვრნენ, მთავრობა თვითონ დააკომპლექტონ და როგორც აქამდე უზრუნველად ცხოვრობდნენ, ისევ ისე უზრუნველად იცხოვრონ, ფანტასტიკური ხელფასები მინიმუმ 4 -5 წელი მაინც გაინაღდონ და ა.შ.

ხალხი? ხალხი ჭირსაც და წყალსაც წაუღიაო. უკვე რამდენი ათეული წელია, ასე ფიქრობს ქართველი საზოგადოების მდიდართა ფენა, **ე.წ. „ელიტა“, (რომელიც ძირითადად „მოედინება“ კომუნისტური ნომენკლატურიდან),** რომელთა რიცხვი მთელი მოსახლეობის 10-15 პროცენტი თუ იქნება. მათ შორის არის (და იყო) ყოველთვის ხელჩართული ბრძოლა. **ბატონობს „ეგო“, ეგოცენტრიზმი, მხოლოდ — „მე“, „მეო“. ამიტომ არის, რომ მიტინგებზე ეს „ლიდერები“ სულ სიძულვილის ენით ლაპარაკობენ.** სიძულვილის ენა გაბატონდა ტელევიზიაშიც. ბუნებრივია, ამას თან სდევს უწმაწური, უხამსი შეძახილები... საშინელება ის არის, რომ, კიდევ ვიმეორებ, ეს ქვეყნის დამაძცევარი ტელევიზიები „ვირის პიტნასავით“ გვტენიან ასეთ სულით ღარიბ და მახინჯ ადამიანებს, და ამას საშველი არა და არ დაადგა. ადამიანთა უფლებების დაცვის სახელით, დასავლეთიდან შემოგდებული, დაფინანსებული პროპაგანდით მანიპულირებენ მავანნი და მავანნი და თეთრს შავად გვასაღებენ და შავს — თეთრად. ისევ ქართულ ანდაზას მოვიშველიებ: **„შეძახილმა ხე გაახმოო“** და ხალხის დიდი მასაც დაბნეულია...

თქმა არ უნდა, ბევრ რამეში სცოდავს „ქართული ოცნებაც“. ეს რაღა იყო, ბატონმა ბიძინამ სწორედ „გავრილოვის ღამის“ მიტინგის შემდეგ გონივრულად რომ გამოაცხადა: **არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდებაო?** ახლა აღმოჩნდა, რომ ამ აზრს მთელი რიგი დეპუტატები არ ეთანხმებოდნენ! ბევრი ამბობს, რომ „ოცნების“ ლიდერმა მაშინ ეს განცხადება მომიტინგეთა დასაშოშმინებლად გააკეთა, მათი აღზევებისა შეეშინდაო. ამან კი „ოცნების“ რღვევა გამოიწვია (ჩემი მოკრძალებული აზრით, არჩევნები ყოველთვის შერეული, მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით უნდა ტარდებოდეს!).

მართლაც, ქვეყანა თითქმის არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობს, მხოლოდ არჩევნებისთვის ცხოვრობს! ამ არჩევნებზეც უამრავი დამამცირებელი რამ ხდება, უსამართლო მეთოდებით იბრძვიან. ოღონდ თავისას მიაღწიონ, მაღალანაზღაურებად სავარძლებში მოკალათდნენ. მათი მიზანი მხოლოდ ეს არის! ხალხი? ხალხი სულ ფეხებზე ჰკიდიათ! ამიტომ არის, მოსახლეობას არჩევნების მიმართ გული გაუტყდა და მასში მხოლოდ ამომრჩეველთა ნახევარი მონაწილეობს. **თავისთავად შესაცვლელია კანონები! არ შეიძლება, ქვეყანას ის მთავრობა მართავდეს, რომელსაც მხოლოდ ხალხის ნახევარი (ზოგჯერ ნახევარზე ნაკლებიც!) უჭერს მხარს!!**

ამ პარტიებმა, ტელევიზიებისა არ იყოს, დაღუპეს ქვეყანა, ამის შესახებ დიდი გულისტკივილით ამბობს (წერს) „თეთრების“ ლიდერი **თემურ შაშიაშვილი:** „საქართველოში პარტიებს ბიუჯეტიდან უფრო მეტი ფული ეძლევათ, ვიდრე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას! ეს არის ქვეყანა?“ მე დავძენდი და დავუმატებდი: ბიუჯეტიდან მწერლობის განვითარებისთვის ერთი თეთრიც არ არის გამოყოფილი! **თუ მწერლები, ზოგადად ხელოვანები და მეცნიერები არ დაფასდნენ, ერის სულიერი ამაღლებისთვის როგორ უნდა ვიბრძოლოთ? სწორედ ესენი როგორმე უნდა მოხვდნენ პარლამენტში! (ხაზს ვუსვამ: როგორმე!) (ჩემი აზრით, პარტიები ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდნენ!)**

...პარლამენტის წინ კი კვლავ სამარცხვინო, სამოქალაქო ომის წინათგრძნობით აღსავსე ბრძოლაა გაჩაღებული... მხოლოდ და მხოლოდ სავარძლების მოპოვებისთვის!

ო, საცოდავო საქართველოვ, საიდან ამდენი ტვინნაღრძობი მოღალატე!

უშანგი ჯანგირაშვილი,
ქ. ბორჯომი.

ნინო ბურჯანაძე: კახა კალაძემ ღია ვაჭრობა შემოგვთავაზა

„ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის თქმით, „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის კახა კალაძის განცხადება ქართველი საზოგადოების დაცინვაა. ბურჯანაძის შეფასებით, კალაძის შეთავაზება არის პირდაპირი ვაჭრობა.

„ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს განცხადება იყო ისეთი ცინიზმი და ისეთი დაცინვა ქართული საზოგადოების, რომ ვფიქრობ, ამასთან შეგუება მართლა არ შეიძლება. დღეს უბრალოდ პირდაპირ ღია ვაჭრობა შემოგვთავაზა კახა კალაძემ. ადრე თუ იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ფარულ გარიგებებს ამზადებს ხელისუფლება, ახლა უბრალოდ, ღიად შესთავაზა ოპოზიციურ პარტიებს — ვინც ჭკვიანად მოიქცევა და ვინც თავს მოაწონებს ხელისუფლებას და ბიძინა ივანიშვნილს, მას — ერთი ან ორი მაჟორიტარი. ეს არის სამარცხვინო. მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას, ამასთან შეგუება არ შეიძლება. თუ ჩვენ ამას შევეგუებით, ჩვენს შვილებს უბრალოდ ფულის მონობისთვის გავწირავთ და არანაირი პოლიტიკა და არაფერი არ ღირს იმისთვის, რომ ჩვენი მომავალი თაობები ფულის მონად ვაქციოთ“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

დავით უსუფაშვილი: ჩვენ გვინდა სამართლიანი, ვაჭკაცური შეჯიბრი, რომელსაც გამარჯვებული ჰყავს

სწორედ ოპოზიცია იქცევა ისე, როგორც ხელისუფლება უნდა იქცეოდეს, სახელმწიფოებრივად და ქვეყნის სასიკეთოდ, — ამის შესახებ „შენების მოძრაობის“ ლიდერმა, დავით უსუფაშვილმა განაცხადა „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის კახა კალაძის განცხადებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ოპოზიციამ ხელისუფლებას გამოსავლის სახით ე.წ. გერმანულ მოდელზე დაფუძნებული ახალი საარჩევნო სისტემა შესთავაზა, რომელიც ყველა მხარეს უნდა აწყობდეს.

„ჩვენ განცხადებით მივმართეთ დღეს ქართველ საზოგადოებას, ხელისუფლებას, საერთაშორისო ორგანიზაციებს და შევთავაზეთ ძალიან კონკრეტული გამოსავალი კრიზისიდან, გერმანულ მოდელზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც მაჟორიტარებსაც უნდა აწყობდეთ, პროპორციული სისტემის მომხრესაც და ყველას. ვხედავთ, რომ სწორედ ოპოზიცია იქცევა ისე, როგორც ხელისუფლება უნდა იქცეოდეს, ანუ სახელმწიფოებრივად და ქვეყნის სასიკეთოდ. „ოცნებიდან“ გვესმის დიდი ტირადა იმის თაობაზე, როგორი ცუდი იყო „ნაციონალური მოძრაობა“ და რამდენი ცუდი საქმე გაიკეთა საარჩევნო საკითხებში. ამას მესაუბრება ხალხი, რომელიც თავად იმ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი და დამფინანსებელი იყო მთელი ოთხიხუთი წლის განმავლობაში, როდესაც ჩვენ ვაპროტესტებდით მაშინ იმ არასწორ ქმედებებს. დღეს მათაც ვეუბნებით — თუ უკვე იცით, რომ ცუდი იყო, როცა თავის დროზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ოპოზიცია მოატყუა და ამის გამო მათ ხელისუფლების დათმობა მოუწიათ, თქვენ რატომ ატყუებთ ოპოზიციასაც და ქართველ ხალხსაც“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისი შეფასებით, ხელისუფლების განცხადება მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატების საკითხზე „ფოჩიანი კანფეტებით ვაჭრობის მცდელობაა“.



რეგისტრირებული მიწის რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა

საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული წარმოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ ბოხაშვილმა ამ ორიოდე დღის წინათ მიწის რეფორმის შედეგებსა და ახალ კანონპროექტზე განმარტებები შემოგვთავაზა:

„მიწის რეფორმა ეს არის მიწის რეგისტრაციის გამარტივებული პროცესი,რომელიც ხელს უწყობს მიწის ნაკვეთის მარტივ და ხარისხიან რეგისტრაციას, ვიდრე ეს ხდებოდა წინა წლებში. საქართველოში მიწის რეფორმა 90-იან წლებში განხორციელდა, სამოქალაქო ომის პერიოდში დოკუმენტები ხარვეზიანად გაიცა. საერთო მიწის ნაკვეთის მხოლოდ 30% იყო დაზუსტებულად განაწილებული და დანარჩენ, 70%-ს საქართველოს ერთიან ელექტრონულ რუკაზე ადგილი არ ჰქონდა მონიშნული. ეს ყოველივე ეკონომიკურ ბრუნვას და წინსვლას უშლიდა ხელს“, — აცხადებს ბოხაშვილი.

მისი განმარტებით, რეგისტრაციის პროცესი კომპლექსურია, საჭიროა დოკუმენტის შეგროვება და შეფასება ვარგისიანობის კუთხით. კანონის მიღებიდან დღემდე, სამი წლის განმავლობაში 5-ჯერ გაიზარდა რეგისტრირებულთა რაოდენობა. საუბარია, 740 ათასზე მეტ მიწის ნაკვეთზე. ჯამში ნახევარ მილიონ ჰექტარზე მეტი. მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია და ცვლილების რეგისტრაცია გვაქვს. მდებარეობა მაშინ იცვლება,როცა რეგისტრაცია წინა წლებშია გაკეთებული, აზომვითი ნახაზი არ შემდგარა ადგილზე.

„პრობლემაა ის,რომ წლების განმავლობაში ამზომველები არ დადიოდნენ ადგილზე, ოფისიდან თვალის ზომით ხაზავდნენ ნაკვეთებს, რის გამოც არაერთი მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია არასწორად განხორციელდა. დღეს უკვე რეგისტრაციის პროცესმა სრულყოფილი სახე მიიღო, მასში ჩართულია ბევრი უწყება, მათ შორის მუნიციპალიტეტი. რაც შეეხება საფასურის ნაწილს, მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა პროცედურა მოქალაქისთვის სრულიად უსასყიდლოა. ეს ეხება როგორც პირველად რეგისტრაციას, ისე ცვლილებას.

2016 წლის კანონმა ასევე გაამარტივა დოკუმენტებისთვის დადგენილი სავალდებულო რეკვიზიტები. ამ წლის ნოემბერში იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილ იქნა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს კანონის კიდევ უფრო მეტად გამარტივებას. პირველ რიგში, კანონი ხდება უვადო მოქმედების. შენარჩუნებულია ერთი ფანჯრის პრინციპი. ახალი კანონი ითვალისწინებს კიდევ ერთ სიახლეს, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დოკუმენტს სავალდებულო რეკვიზიტები აკლია, მაინც მოხდება რეგისტრაცია. მთავარია, დოკუმენტი გაცემული იყოს 2007 წლამდე, დგინდებოდეს სუბიექტი, ფართობი და მისამართი,“ — ამბობს ვახტანგ ბოხაშვილი.

„კომერსანტი“

ბაზარზე დიზელის იაფი საწვავი დარჩება

საქართველოში **დიზელის საწვავზე „ევრო-5“ სტანდარტი 2020 წლის იანვრიდან აღარ ამოქმედდება. ბიზნესმა მორიგ გადავადებას მიაღწია და ამით ბაზარზე იაფი დიზელი მომავალშიც შენარჩუნდება.**

მთავრობის დადგენილების მიხედვით, რეგულაცია ძალაში 2021 წლიდან შევა. პრემიერ-მინისტრმა შესაბამისი დადგენილება 15 ნოემბერს გამოსცა.

დიზელის საწვავზე „ევრო 5“ სტანდარტის გადავადებას ბიზნესი და იმპორტიორები უკვე რამდენიმე თვეა, ითხოვდნენ. იმ შემთხვევაში, თუ 2020 წელს დიზელზე ახალი ხარისხობრივი ნორმები ამოქმედდებოდა, მაშინ აზერბაიჯანს რუსეთი ჩაანაცვლებდა.

დიზელის ახალი „ევრო 5“ სტანდარტის ამოქმედება 2020 წლის პირველი იანვრიდან იგეგმებოდა. თუმცა, ბიზნესის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და პროცესი ერთი წლით გადაიდო.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანს დღესდღეობით საქართველოში დიზელის ბაზრის 41 პროცენტი უჭირავს. საქართველში იაფი „ევრო 4“-ის სტანდარტის აზერბაიჯანული დიზელის მოწოდებას კი „სოკარი“ უზრუნველყოფს. ევროდიზელთან შედარებით აზერბაიჯანული საწვავი 20 თეთრით იაფი ღირს.

რაც შეეხება „ევრო 5“-ის სტანდარტზე გადასვლის აუცილებლობის ძირითად მიზეზს, სახელმწიფო ეკოლოგიურ ფაქტორებს ასახელებდა. თუმცა დარგის ექსპერტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ადგილი აქვს კონკრეტულ ფინანსურ ინტერესებს იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც არა აზერბაიჯანიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდან ახორციელებენ დიზელის იმპორტს. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში ადასტურებენ, რომ „ევრო 5“-ის სტანდარტის ამოქმედების გადადება რომ არ მომხდარიყო, დიდი ალბათობით „დიზელის“ საწვავის ძირითადი შემომტანი საქართველოში რუსეთი იქნებოდა.

„წლების მანძილზე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და დიზელის სტაბილური მომწოდებელი აზერბაიჯანი, ამ პროდუქტს ნამდვილად ვეღარ მოგვაწვდიდა. მომხმარებელს არ ექნებოდა წვდომა შედარებით იაფ დიზელის საწვავზე. ეს გადაწყვეტილება კი ხელს უწყობს იმას, რომ აზერბაიჯანი მომავალ წელსაც იქნება წარმოდგენილი ადგილობრივ ბაზარზე.

ეკოლოგიური ვითარება კი, მიზეზი რატომაც დაიწყო ამ თემაზე საუბარი, ამ გადაწყვეტილებით არ გაუარესდება. აზერბაიჯანული დიზელი შეიძლება ითქვას, რომ არის თითქმის „ევრო 5“-ის შესაბამისი, სხვაობა მხოლოდ მცირედით, გოგირდის შემცველობაშია. შესაბამისად, მთავრობამ აბსოლუტურად ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო და ბაზარზე სტატუს-კვო შეინარჩუნა“, — განაცხადა **ვანო მთვრალაშვილმა**.

მთავრობის პოზიციით კმაყოფილია „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ გენერალური დირექტორი **ლევან გიორგაძეც**.

„კარგია, რომ ხელისუფლებამ გაითვალისწინა ჩვენი არგუმენტი. არაფერი იყო საჩქარო, ამ კომპონენტის ცვლილება გარემოზე ზემოქმედების კუთხით არ მოახდენდა დიდ გავლენას. ავტოპარკის გაუმჯობესების გარეშე მხოლოდ საწვავის მაჩვენებლებზე ზრუნვა, ფაქტია, შედეგს ვერ გამოიღებს. მოსახლეობისთვის ყველაზე ცუდი შედეგი კი იქნებოდა გაძვირება. ჩვენი ქარხნის გადაიარაღება მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, 1 წელიწადში სრულად დასრულდება. ამ მოცემულობით, შევძლებთ 2021 წლიდან შემოვიტანოთ „ევრო 5“-ის სტანდარტის დიზელი აზერბაიჯანიდან“, — განაცხადა ლევან გიორგაძემ.

ბექა დანელია

ქვეყანა კაზინოში ჩაიხრჩო!...

აზარტული მოთამაშეების ოჯახის წევრებს შეეძლებათ, სასამართლოს მიმართონ და მათთვის თამაშის აკრძალვა მოითხოვონ

დიახ, დიახ, აზარტული მოთამაშეების ოჯახის წევრებს სრული უფლება უნდა ჰქონდეთ, სასამართლოს მიმართონ და მათთვის თამაშის აკრძალვა მოითხოვონ. ამის შესახებ, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტშია აღნიშნული, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია. კანონპროექტის ავტორი პარლამენტის წევრი ლევან გოგიჩაიშვილია.

საკანონმდებლო პაკეტი, რამდენიმე კანონში ცვლილებების შეტანას გულისხმობს. კანონპროექტებში მათ შორის, საუბარია, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთათვის თამაშის აკრძალვის მიზნით, მათი ოჯახის წევრების მიერ სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობის უფლებაზე.

კერძოდ, როგორც კანონპროექტშია აღნიშნული, აზარტულ მოთამაშეთა ოჯახის წევრს უფლება ექნება, სასამართლოს წესით მოითხოვოს ახლობლის მონაცემების თამაშებზე დამოკიდებულ პირთა რეესტრში შეტანა.

„კანონპროექტის მიხედვით, ოჯახის წევრი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით და მოითხოვოს პირის მონაცემების დამოკიდებულ პირთა სიაში შეტანა, ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განცხადებით მიმართვა გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისგან,“ — აღნიშნულია პროექტში.

კანონპროექტის ავტორის შეფასებით, ცვლილების მიზანი და შედეგი — აზარტულ და მომგებიან თამაშობებში არასრულწლოვანთა ჩართულობის, მძიმე სოციალური ფონის გაუარესებისა და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებაა.

საქართველოში 2018 წელს ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე 10 კომპანიიდან 5 სათამაშო ბიზნესი იყო. ეს მაჩვენებელი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ საქართველოში აზარტული თამაშები ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია და მისი ბრუნვა ყოველწლიურად რეკორდულად მატულობს. მათ შორის, 2018 წელს სათამაშო (აზარტული) ბიზნესის ბრუნვა 128%-ით გაიზარდა. თუ 2017 წელს სექტორის ბრუნვა 6,050 მლრდ ლარი იყო, 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 13,806 მლრდ ლარი შეადგინა.

გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების წილი გაიზარდა!

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემებით, 2011-2017 წლებში ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის შედეგად ჰაერში მავნე ნივთიერებების წილი გაიზარდა. 2017 წელს ჰაერში ნახშირჟანგის გაფრქვევის (CO) მაჩვენებელმა 105.1 ტონა შეადგინა. 2016 წელს ეს მაჩვენებელი 103.3 ტონა იყო. ამავე პერიოდში აზოტის დიოქსიდის (NO2) გაფრქვევა 25.6 ტონას გაუტოლდა. 2016 წელს (25.0 ტონა) ნახშირწყალბადებისამ (NmVOC) კი 15.3 ტონა შეადგინა. 2016 წელს ეს მაჩვენებელი 14.9 ტონა იყო. მყარი ნაწილაკების (PM1 0) გაფრქვევის (1.4 ტონა) და მყარი ნაწილაკების (PM2.5) (1,2 ტონა) უცვლელი დარჩა.

ბიძინა ივანიშვილის საჩუქარი თბილისს

რა იგეგმება მთაწმინდის ფერდობზე

„ოცნების“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინათ დედაქალაქში არსებულ შექმნილ მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ის მუდმივად არის ჩართული ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში. მაგალითად, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ხანძრის შედეგად დაზიანებული ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკი მოიყვანა:

„ხანძრის შედეგად დაზიანებული ტყის აღდგენის, ანუ ახალი განაშენიანების პროცესში არათუ ჩართვის, არამედ მთლიანად საკუთარ თავზე აღების მზადყოფნა პირველი დღეებიდანვე გამოვხატე. თუმცა, ამის აფიშირება არ მომიხდენია, რადგან არ არის ეს ჩემი სტილი და ხელწერა“ — თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის აღდგენაში საკუთარი წვლილის აფიშირება არ მოუხდენია, მაგრამ ამავე ინტერვიუში ხმამაღლა დაიწყო საუბარი მთაწმინდის ფერდის გამწვანების სამომავლო პროექტზე. ექსპრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პროექტზე მისი მეგობარი **თემურ ტყემალაძე** მუშაობს.

— „კომერსანტი“ დაინტერესდა, რა გეგმები აქვს ქვეყნის ყველაზე მდიდარ ადამიანს მთაწმინდის ფერდობთან დაკავშირებით. მედიაჰოლდინგთან მისი მეგობარი, ფონდ „განვითარება და გარემოს“ თავმჯდომარე და პროექტის ხელმძღვანელი თემურ ტყემალაძე საუბრობს. როგორც მან განგვიცხადა, საუბარი არ არის რამე ახალი ლანდშაფტის შექმნაზე. ტყემალაძის თქმით, უნდა მოხდეს იმ მცენარეული საფარის აღდგენა, რომელიც წლების წინათ იყო მთაწმინდის ფერდობზე გაშენებული და რომელიც შეესაბამება ადგილობრივ ჰავას, კლიმატს და ნიადაგს. მისი თქმით, ახლა იმ გუნდის შეკრებაზე მუშაობს, რომელიც უახლოეს მომავალში პროექტის მომზადებას დაიწყებს.

„მთაწმინდის ფერდის გამწვანების პროექტი არის ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო. პროექტის შესახებ გავაჟღერე ბატონ ბიძინასთან, მისი ხედვები ჩემს ხედვებს დაემთხვა და გადაწყვეტილება მყისიერად იქნა მიღებული. წინა საპროექტო მოკვლევები დავიწყეთ, რადგან ეს ადგილი არის ქალაქის გული და გამორიცხულია, იქ რაიმე შეუთავსებლობა მოხდეს. ეს ტერიტორია ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უნდა გახდეს ყველა მნახველისთვის. პლუს, ეს ადგილი უნდა იყოს მდგრადი, რათა ადამიანს შეეძლოს იქ დასვენება და ბუნებასთან სიახლოვე, ამ ყველაფრის შეთავსება კი მარტივი არ არის. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ გვყავს იმ დონის სპეციალისტები, რომ ეს ყველაფერი გაითვალისწინონ, ამიტომ დავიწყეთ საზღვარგარეთ უცხოელი სპეციალისტების ძებნა. პროექტის მომზადებაში უამრავი სპეციალისტი ჩაერთვება, დაწყებული ეკოლოგიით დამთავრებული ლანდშაფტის დიზაინერით. ეს არ იქნება ჩემი პროექტი, ეს იქნება პროფესიონალი ხალხის პროექტი, ჩემი არის იდეა, თუ რა უნდა გაკეთდეს. ეს ერთი დღისთვის არ კეთდება, პროექტი წლების განმავლობაში უნდა დარჩეს. აღსანიშნავია ის, რომ ჩვენ არ ვეხებით იმ ტყის საფარს, რომელიც ცოცხალი და ჯანსაღია, — განაცხადა თემურ ტყემალაძემ.

წლების წინათ მთაწმინდის ფერდობზე ხელოვნურად გაშენებული ტყის საფარი, მოუვლელობის გამო ჩამოირეცხა და გაშიშვლდა. ფონდ **„განვითარება და გარემოს“** თავმჯდომარე დედაქალაქში შექმნილ ეკოლოგიურ პრობლემაზეც გულახდილად საუბრობს.

— წლების წინათ ტერიტორიაზე ტყის ბუნებრივი საფარი იყო, თუმცა, ნახშირის დიდმა მოხმარებამ თბილისის გარშემო ტყეები გაანადგურა. 70-იან წლებში დედაქალაქში ტყე მიზანმიმართულად გაშენდა, რათა მწვანე საფარი აღდგენილიყო. ბოლო სამი ათეული წელი მცენარეების მოვლას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, სწორედ ამან გამოიწვია მწვანე საფარის დაზიანების დაჩქარება. მცენარეებს ფიტოსანიტარიული მოვლა სჭირდებოდა, რასაც ბოლო წლების განმავლობაში არავინ აკეთებდა. ამ ყველაფერს დაემატა ხანძრები, რის შემდეგაც მთაწმინდაზე კონკრეტულ ადგილებზე გაშიშვლებები დაიწყო, სადაც ტერიტორია გაშიშვლებული არ არის, იქ ტყეების დეგრადაცია წავიდა, ამ ტყეს დღეს განახლება სჭირდება. არის ადგილები, რომელსაც ვეღარ გაამწვანებ, ჩვენ არ გვინდა, შევქმნათ ბუტაფორია, პროექტი უნდა გაკეთდეს ღირსეულად, — განმარტავს თემურ ტყემალაძე.

მინდვრისა და მთის ნეკერჩხლები, კავკასიური ფიჭვი, საკმლის ხე, მუხა, აკაკი და იფანი — ეს იმ მცენარეების ჩამონათვალია, რომლითაც ბიძინა ივანიშვილი მთაწმინდის ფერდობზე გამხმარ და დაავადებულ მცენარეთა ჩანაცვლებას გეგმავს. პროექტის სავარაუდო ღირებულება 12-15 მილიონი ლარი იქნება.

— მთავარია პროექტის შექმნა, შესრულება არის კონტროლის ამბავი. თუ გვინდა, კარგი შედეგი მივიღოთ, შეცდომები არ უნდა დავუშვათ... სავარაუდო ვადად 2 წელი დავასახელე თუმცა, შეიძლება 2 წელი არ იყოს საკმარისი, სამი წლის შემდეგ გვექნება სერიოზული შედეგები. პროექტირება გარკვეულ დროს მოითხოვს და ხარჯებიც ამაზეა დამოკიდებული. კონკრეტული თანხა ბიძინა ივანიშვილმა დაასახელა, თუმცა, პირად საუბარში მითხრა, რომ, თუ თანხის დამატება დამჭირდება, არაფერს დაიშურებს. საბოლოოდ თბილისი ძალიან დიდი საჩუქარს მიიღებს, — განაცხადა თემურ ტყემალაძემ.

პროექტში, რა თქმა უნდა, თბილისის მერიაც ჩაერთვება. პროექტის ხელმძღვანელი ამბობს, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ტყემალაძეს უახლოეს მომავალში შეხვდება, მემორანდუმი გაფორმდება და პრაქტიკული მოქმედებებიც დაიწყება.

2020 წლიდან ეროვნულ გამოცდებზე მიღებას ელექტრონულად გამოაცხადებენ

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (ემისი) ინფორმაციით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული ანკეტა -კითხვარი შეიქმნა, რის საფუძველზეც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღების გამოცხადებას ელექტრონულად შეძლებენ.

Edu.aris.ge-ს ამ მიზნით შექმნილ ელექტრონულ ანკეტა-კითხვარში შევსებულია მათ მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის დიდი ნაწილი. განახლებული საგამოცდო ფორმატის გათვალისწინებით, ელექტრონულ ანკეტა-კითხვარში უზრუნველყოფილია მექანიკური და ტექნიკური შეცდომებისგან დაწესებულებების დაცვა, რაც გასულ წლებში განაპირობებდა ხარვეზის დადგენისა და პროცესების დროში გახანგრძლივების მიზეზს. როგორც უწყება განმარტავს, განახლებული მიდგომით, ელექტრონული გახდა ანკეტა-კითხვარების წარდგენის, დადასტურების, ხარვეზის დადგენის, ხარვეზის აღმოფხვრისა და საბოლოო ინფორმაციის სსიპ — შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის მოწოდების პროცესები. ელექტრონული ანკეტა-კითხვარის პილოტირება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით უკვე ჩატარდა.



პროფესიულ კოლეჯებში სწავლა 2 დეკემბერს დაიწყება

პროფესიული **კოლეჯების უმრავლესობაში სწავლა 2 დეკემბერს დაიწყება.**

როგორც განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების მიმართულების ხელმძღვანელმა ირინა წეროძემ განაცხადა, კოლეჯებს ინდივიდუალურადაც შეუძლიათ სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრა, თუმცა მათ უმეტესობაში სწავლა დაიწყება 2 დეკემბერს, მაგრამ მათ აქვთ საშუალება, ეს თარიღი ინდივიდუალურადაც გადაწყვიტონ.

მისივე თქმით, წელს არის პირველი წელი, როდესაც კერძო კოლეჯებში სტუდენტები სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით ჩაირიცხნენ. შეგახსენებთ, რომ 2019 წლის საშემოდგომო პროფესიული ტესტირების საბოლოო შედეგები ცნობილი ნოემბრის შუა რიცხვებში გახდა. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ჩვენთვის მოწოდებული მონაცემებით, პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხვის უფლება სულ 5621-მა პირმა მოიპოვა. აქედან მოდულურ პროგრამებზე 5370-მა პირმა და სუალურზე 251-მა. ასევე, ჩარიცხვის უფლება საშემოდგომო მიღებაზე 174-მა სპეციალური საჭიროების მქონე პირმა მოიპოვა.

მიხეილ ბატიაშვილი ხელოვნური ინტელექტის უნივერსიტეტის პროექტს განახორციელებს

განათლების **ყოფილი მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი რეგიონში პირველ, ხელოვნური ინტელექტის უნივერსიტეტის მასშტაბურ პროექტს საერთაშორისო კომპანიებთან — HP და Microsoft-თან პარტნიორობით განახორციელებს. როგორც ბიზნესისა და ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან (BTU) საქართველოს პირველ არხს აცნობეს, სწორედ მათ ბაზაზე დაიწყებს ფუნქციონირებას აღნიშნული უნივერსიტეტი. მიხეილ ბატიაშვილი ორივე უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტებს დაიკავებს.**

„ეს იქნება რეგიონის მასშტაბით პირველი საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებას განათლებასა და ბიზნესის სხვადასხვა სექტორში მოახდენს, ადგილი ექნება ინოვაციების გენერირებას, კვლევას, სწავლებას და განვითარებას. უნივერსიტეტი BTU-ს სივრცეში მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიებით, ერთიანი სამუშაო სივრცეებით, კვლევითი ცენტრით, ელექტრონული ბიბლიოთეკით, სასწავლო აუდიტორიებით და აქტივობების განსახორციელებლად სხვადასხვა საჭირო რესურსით იქნება წარმოდგენილი“, — აცხადებენ უნივერსიტეტში.

„ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტებზე მოთხოვნა სწრაფად მზარდია, შესაბამისად, ეს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი სფეროა მსოფლიოში. კადრებზე მზარდმა მოთხოვნამ გააჩინა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროება, რომელსაც BTU AI სრულად დააკმაყოფილებს“, — აცხადებენ უნივერსიტეტში.

წერილი ამერიკიდან

„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრანი“

პასუხი აკადემიკოს ა. კორახაშვილის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა/წ 7 ნოემბერს გამოქვეყნებულ სტატიაზე „ცრუმეცნიერების განსაკითხად: შეფუთული სიყალბე“.

მკითხველი დამეთანხმება, რომ განსაკუთრებით ბოლო წლებში საქართველოში მომეტებულად გავრცელებულია ერთმანეთის ლანძღვა-გინება, სრულიად უსაფუძვლო ცილისწამება, გაუგონარი ბილწსიტყვაობა, რაც „უზნეობის ვირუსის დაავადებით“ ავხსენი, გაზეთშიც გამოვაქვეყნე და მოვუწოდე ხალხს ჩვენი ისტორიული ტრადიციების შენარჩუნებისაკენ, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდა ურთიერთპატივისცემით, თანაგრძნობით და ტაქტიანი მოპყრობით, რაც აღფრთოვანებას იწვევდა უცხოელებში.

ა.კორახაშვილის წერილი მაგალითია სწორედ ამ დაავადებით შეპყრობილი ადამიანის აღვირახსნილობისა. იგი სრულიად შეუსაბამო სიტყვებით ცილს სწამებს და ლანძღავს ჩვენს ქვეყანაში და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ, მაღალი ინტელექტისა და კომპეტენციის მეცნიერს, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბიოორგანული კათედრის გამგეს,ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორს, 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, აღმოჩენების, გამოგონებების ავტორს მეცნიერების სხვადასხვა დარგში, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს რ. გახოკიძეს, რომელიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს სამეცნიერო და საზოგადოების სხვადასხვა წრეებში, სტუდენტ ახალგაზრდობაში. ამასთან ერთად კორახაშვილი აცამტვერებს, იგნორირებას უკეთებს მის მიერ შექმნილ უნიკალურ პრეპარატს – ბიოენერგოაქტივატორ „ბიორაგს,“ რომელიც თითქმის 40 წელია, ასეულ ჰექტარზეა გამოცდილი სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო ფერმერების მიერ, მოწონებულია და არსებობს ამ ფაქტების უამრავი ოფიციალური დოკუმენტი. ა.კორახაშვილი შეურაცხმყოფელი სიტყვებით „ამკობს“ ფერმერებს, „ბიორაგით“ მოსარგებლე მოქალაქეებს (რომელთა რიცხვი ასეულია), მათ შორის მაღალი კომპეტენციის და წოდების ქართველ თუ უცხოელ სპეციალისტ მეცნიერებს, რომლებიც იწონებენ და რეკომენდაციას უწევენ მის ფართო გამოყენებას.

10 წლის მონაცემების მიხედვით, სოფლის მეურნეობის აკადემიის მიერ ოფიციალური დოკუმენტითაც არის დადასტურებული, რომ „ბიორაგი“ ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნაყოფიერების და მოსავლიანობის რამდენჯერმე გაზრდას, აძლიერებს მცენარეთა რეზისტენტობას დაავადებათა მიმართ და ზრდის ყინვაგამძლეობას, ხოლო მიღებული პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა. მსოფლიოს საუკეთესო ლაბორატორიებში დადგენილია, რომ „ბიორაგის“ გამოყენებით მძიმე ლითონების, პესტიციდებისა და ნიტრატების შემცველობა მცენარეში საგრძნობლად მცირდება. როგორ მოვიქცეთ, დავუჯეროთ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას თუ შურით და უსაფუძვლო ეჭვებით შეპყრობილ ა.კორახაშვილს? იმის გათვალისწინებით, რომ „ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობია,“ მეც, მაშინ როცა რესპუბლიკური გაერთიანება „საქთამბაქოს“ მმართველად ვმუშაობდი, „ბიორაგი“ გამოვიყენე თამბაქოს კულტურაზე. მიღებულმა მოსავალმა ორჯერ გადააჭარბა საკონტროლოს (პესტიციდებითა და სასუქებით მოყვანილს) და ხარისხი, სადეგუსტაციო კომისიის შეფასებით, ბევრად უკეთესი აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალურათი დაავადებული ბზის მცენარის „ბიორაგის“ მეშვეობით განკურნება. ვიზუალურად და ფიზიკურად გამხმარი მცენარე (მსხვრევად ტოტებზე არც ერთი ფოთოლი არ ჰქონდა შენარჩუნებული) ორ კვირაში მწვანე ფოთლებით შეიმოსა! ჩემს მიერ ჩატარებული იქნა ასევე ცდები კიტრსა და პომიდორზე. შედეგი საუკეთესო იყო: მათი მოსავლიანობა 3-4-ჯერ გაიზარდა საკონტროლოსთან შედარებით. ყურადსაღებია ისიც, რომ „ბიორაგის“ საშუალებით „ფოთლის სიხუჭუჭისა“ და სხვა მიკროპლაზმური დაავადებებისგან სრულად იკურნება თუთისა და ლიმონის მცენარეები (არსებობს ოფიციალური დოკუმენტები და დისერტაციები აღნიშნულ ფაქტებზე).

არ შემიძლია, არ აღვნიშნო სრულიად ახალი, წლევანდელი ფაქტიც. სასიქადულო სპორტსმენმა, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა და საზოგადო მოღვაწემ რომან რურუამ სენაკის რაიონში, სოფელ გეჯეთში 16 ჰექტარზე დათესა სიმინდის ჯიშები „აჯამეთის თეთრი“ და „აბაშის ყვითელი“ „ბიორაგის“ გამოყენებით (სასუქების და პესტიციდების გარეშე). მიიღო საუკეთესო გემური თვისებების მქონე უხვი მოსავალი, მცენარის სიმაღლემ მიაღწია 6 მეტრს, რაც, თავის მხრივ, მეცხოველეობისთვის საუკეთესო საკვებს წარმოადგენს. ასევე წელს კარტოფილზე „ბიორაგის“ გამოყენებით უპრეცედენტო შედეგი მიიღო მესხეთ-ჯავახეთში ფერმერმა გიორგი ელიზბარაშვილმა. მიღებულ პროდუქტში ნიტრატების შემცველობა ევროსტანდარტით დადგენილ დასაშვებ ნორმაზე ნ-ჯერ ნაკლები აღმოჩნდა, რამაც უცხოელი ფერმერების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

„თუ მართლა ასეთი მაგიური ძალის სტიმულატორია „ბიორაგი“, რატომ არ გავრცელდა საზღვარგარეთ, თუნდაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ რესპუბლიკაში მაინც?“ – კითხულობს კორახაშვილი.

მოგახსენებთ: „ბიორაგის“ საველე პირობებში გამოცდის საფუძველზე უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციებიდან მიღებულია უაღრესად მაღალი აღიარების დასკვნები (თურქეთი, იტალია, ჩეხეთი...). „ბიორაგს“ წარმატებით იყენებენ იტალიაში დეკორაციული მცენარეების გასამრავლებლად. თურქეთის აგრარულ რაიონში – ადანაში სიმინდისა და მზესუმზირის კულტურებზე. იგი ასევე გამოყენებულ იქნა დაავადებული, თითქმის გამხმარი ზეთისხილის ხეების გადასარჩენად. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ვიზუალურად თითქმის გამხმარი ხეები მწვანე ფოთლებით შეიმოსა, რამაც აღაფრთოვანა როგორც თურქი ფერმერები, ისე ხელისუფლება. უამრავი დასკვნიდან მოვიტანთ ზოგიერთ ამონარიდს: **„პროფ. რ. გახოკიძემ შექმნა პრინციპულად ახალი მიმართულება და საფუძველი ჩაუყარა ახალ სამეცნიერო დისციპლინას – აგრობიოორგანულ ქიმიას, რომლის ცენტრალურ პარადიგმას წარმოადგენს მცენარეთა ნახშირწყლოვანი ცვლის ევოლუცია“ (აკადემიკოსები ი. ჟდანოვი, ვ. მინკინი); „პროფ. რ.გახოკიძის ნაშრომები კარგად არის მსოფლიოში ცნობილი... ბოლო პერიოდში ჩვენ დავიწყეთ ჩეხეთის სოფლის მეურნეობაში პროფ. რ. გახოკიძის მიერ დამუშავებული ახალი აგროტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება ჩვენ მიერ შექმნილ ტექნოპარკში. ზოგიერთი ტექნიკური კულტურის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდება ახალი ტექნოლოგიის გამოყენების დიდ პერსპექტივებს იძლევა“ (პროფ. იან კოსტკანი, საყოფაცხოვრებო ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი კომპანიის გენერალური დირექტორი);**

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თურქეთში „ბიორაგის“ დამამზადებელი საწარმოს შექმნას ავტორი არ დათანხმდა. პატრიოტული მოტივებიდან გამომდინარე, იგი ასევე არ დათანხმდა ანალოგიურ შემოთავაზებებს იტალიაში, უნგრეთში, რუსეთში, ისრაელში, სამხრეთ აფრიკაში, ბელორუსიაში, უკრაინაში, ირანში. მიაჩნია, რომ ასეთი უნიკალური პრეპარატი, რომელსაც, ცნობილი მეცნიერების შეფასებით, ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში, საქართველოს კუთვნილებად უნდა დარჩეს და მასიურად აქ უნდა დამზადდეს, სხვა ქვეყნებმა კი, ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტში სათანადო თანხის გადახდის შემდეგ, წაიღონ და გამოიყენონ. ამჟამად მიდის მოლაპარაკება ერთ-ერთ ქვეყანასთან, რომელიც თანახმაა, დააფინანსოს საქართველოში ასეთი საწარმოს შექმნა, რაც სერიოზულ ფინანსებთან არის დაკავშირებული.

ა. კორახაშვილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებს (მათ შორის მრავალი გამოჩენილი მეცნიერია), რომლებიც „ბიორაგს“ მაღალ შეფასებას აძლევენ, პოპულისტებად და ოდიოზურ აკადემიკოსებად მოიხსენიებს, რითაც დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებს ღვაწლმოსილ მეცნიერებს, თანაც დასძენს: „ნუთუ მეცნიერების უმრავლესობის ასეთი უარყოფითი შეფასების მიუხედავად, ძნელი გასაგებია, რომ „ბიორაგი“ არის კარგად შეფუთული ფიქცია, რომელიც საქართველოს პატიოსანი ქიმიკოსებისა და აგროქიმიკოსებისთვის მიუღებელია?“?! კორახაშვილი ვალდებულია, დაასახელოს, მათი გვარები და მოიყვანოს ფაქტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკაცრად უნდა აგოს პასუხი ამ მორიგ ტყუილზე. ამ დროს რ.გახოკიძის ნაშრომებს ოფიციალურად უმაღლეს შეფასებებს აძლევენ საქართველოს ეროვნული და სოფლის მეურნეობის აკადემიების აკადემიკოსები (არსებობს პრეზიდენტების ოფიციალური დადებითი დასკვნები).

ბიორაგის შექმნის თითქმის 40 წლის განმავლობაში არ არსებობს არც ერთი პუბლიკაცია, ტელევიზიით თუ სამეცნიერო კონფერენციებზე გამოსვლა, ასევე რომელიმე ფერმერის უარყოფითი შედეგის გახმოვანება ვიწრო წრეშიც კი, პირიქით, მათი შეფასებები უაღრესად დადებითია, რის შესახებაც არსებობს ოფიციალური დასკვნები უცხოეთის მრავალი სამეცნიერო ცენტრის, ასევე საქართველოს მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მათი რიცხვი 25-ს აჭარბებს),რომლებშიც რეკომენდირებულია ბიოენერგოაქტივატორ „ბიორაგის“ ფართო გამოყენება სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხოვანი, უხვი მოსავლის მისაღებად.

სრულიად გაუგებარია და ლოგიკას არის აცდენილი კორახაშვილის შეკითხვა: „რატომ არ აძლევს „ბიორაგის“ შემქმნელი ამ პრეპარატს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს უახლესი მეცნიერული მეთოდიკით გამოსაცდელად?“.

„ბიორაგი“ არათუ გამოცდილია კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ (რაც კორახაშვილმა უნდა იცოდეს), არამედ იგი შედის სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროფილის ინსტიტუტის თემატიკაში. (იხ.: „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ანგარიშები“ (1997, 2001, 2004, 2008 და ა.შ.), ასევე „რეკომენდაციები საქართველოს აგრარული მეცნიერების მიერ შექმნილი ინტელექტუალური პროდუქციის წარმოებაში გამოსაყენებლად“ (1999), რასაც ოფიციალურად ადასტურებს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. „ბიორაგის“ მაღალეფექტიანობა ასახულია აკადემიის მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში „ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა კვალდაკვალ“ (2001). „ბიორაგი“ განხილულია აგრეთვე აგრარული უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის და სხვა გამომცემლობების მიერ გამოცემულ სტუდენტთა სახელმძღვანელოებშიც (ივ. გიორგბერიძე, **„სიახლენი მემცენარეობაში“,** 1982; ვ. გოგუაძე, რ. ჯაბნიძე, **„სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია“,** 2003; მ. მელაძე, **„აგროეკოლოგიის ძირითადი საფუძვლები“,** 2015; ზ. კვინიკაძე, ზ. დავითაია, ლ. კვინიკაძე, **„ეკოლოგიის მოკლე სახელმძღვანელო“,** 2011; გ ავქოფაშვილი, **„ნიადაგების ფიტორემედიაცია“,** 2016 და სხვ.). ჩემი, მ. მელაძის და სხვა პროფესორების სალექციო კურსში “ბიორაგი“ შეტანილია როგორც სავალდებულო მასალა სტუდენტებისთვის.

ა. კორახაშვილი გაუმართლებელი უზნეო სტილით გვლანძღავს „ბიორაგის“ მხარდამჭერებს: „ავტორი მხოლოდ თავისიანების მეშვეობით და მისივე გრანტებით მოქონილი გარემოცვით ცდილობს პრეპარატის ზღაპრული თვისებების დამტკიცებას“. კორახაშვილმა კარგად უნდა იცოდეს, წარსულ წლებში თუ როგორ გაიცემოდა გრანტები (რომელთა საიდუმლო შემფასებელი თავად იყო და მისი „მოღვაწეობა“ პროკურატურის კვლევის საგანია დღემდე). ახლახან გახდა ცნობილი, რომ კორახაშვილი

ცრუმეცნიერების განსაკითხად
№ 221. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2019 წელი.
1985 წლის ნოემბერში გამოცემულ საბჭოთა ენციკლოპედიურ ლექსიკონში (მესამე ტომი, გვ. 730) გაფიცულია:
„Лисенко Трофим Данилович. Советский биолог и агроном. Академик АН СССР, АН УССР, президент ВАСХНИЛ, Герой Социалистического Труда. Депутат Верховного Совета СССР в 1937-66 г. Государственная премия СССР (1941, 1949, 1949). Ряд положений Лисенко не получили экспериментальных подверждении и производственного применения“.
Ранвиц ирмоиб ибгрчеб ійбгдзуг ідбіцдз ун „ґлбісдзуг“ ідсглгбі, ґлгні ідуедбіг, ґлгні ідуедбіг, ґлгні ідуедбіг ідуг ідуг іду

ეს პრაქტიკულად გამოსცადა,კარგი შედეგიც მიიღო, მაგრამ არ ამხელს! (ცუდი შედეგი რომ მიეღო, პირველ რიგში, მასზე დაწერდა) კორახაშვილი საყვედურობს ჟურნალისტებს, მასზედ რომ ისინი დიდ ყურადღებას და დროს უთმობენ გახოკიძეს და თავს იმის უფლებასაც კი აძლევს, გახოკიძე შარლატანად მოიხსენიოს და მისი მხარდამჭერები კი შეზღუდული ცნობიერების ადამიანებად. **წერილს ამთავრებს იმით, რომ „ამ ცრუმეცნიერების განკითხვის ან იძულებითი მკურნალობის დღეც დადგება“...**

ვინ არიან შეზღუდული ცნობიერების ადამიანები? აკადემიკოსები ი. ფრანგიშვილი თუ ს. დურმიშიძე, ი. გვერდწითელი თუ ვ. ჭავჭანიძე, შ. კერესელიძე თუ კ. დიდებულიძე და უამრავი მსოფლიო დონის ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი, და ასევე „ბიორაგის“ აქტიური მომხმარებელი საზოგადოების ცნობილი ავტორიტეტები. მომყავს ზოგიერთი ქართველი მეცნიერის შეფასება: „ბიორაგი“ გამოცდილია ათასობით ჰექტარზე, რის თაობაზეც არსებობს სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების დადებითი დასკვნები... ბიორაგის ფართო მასშტაბით გამოყენება სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსავლიანობის მკვეთრად გაზრდისა და მინერალური სასუქების გამოყენების ოპტიმიზაციის საქმეში“ (აკად. **გ. ალექსიძე,** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი);

„ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე პროფ. რ. გახოკიძემ შექმნა ორიგინალური აგროეკოლოგიური მიმართულება – აგრობიოორგანული ქიმია, რაც ნიადაგის შხამებით გაბინძურების გარეშე, მცენარეთა სარეზერვო მექანიზმების გააქტიურებით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ეკოლოგიურად სუფთა მაღალი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა. პროფ. რ. გახოკიძის მიერ მიღებულ ნაერთებს წარმატებით იყენებენ აგრეთვე ბიოტექნოლოგიაში. ჩვენ მიერ დადგენილია 12 ნივთიერების ფერმენტული აქტივობის მარეგულირებელი თვისებები, რაც დიდ ინტერესს წარმოადგენს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. ასევე საყურადღებოა შემდეგი შეფასება: „პროფ. რ. გახოკიძის გამოკვლევები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის. ისინი შესრულებულია მსოფლიოს სტანდარტების დონეზე. ჩემთვის კარგადაა ცნობილი, უკანასკნელ პერიოდში თუ როგორ დიდ ინტერესს იჩენენ უცხოეთის ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკოსები ამ გამოკვლევების მიმართ“ (აკად. Б. КВЕСИТАДЗЕ, САКАРТВЕЛОС МЕЦНИЕРЕБАТА ЕРОВНУЛИ АКАДЕМИИС ПРЕЗИДЕНТИ). საინტერესოა რას იტყვის ამაზე ა. კორახაშვილი, ეყოფა თუ არა მას სინდისი, რომ ბოდიში მოუხადოს მის უშუალო ხელმძღვანელს, ასევე საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერებს, რომლებიც ოფიციალურად მხარს უჭერენ უნიკალური პრეპარატის – „ბიორაგის“ ფართო მასშტაბით დანერგვას არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში.

აღსანიშნავია აგრეთვე მოსკოვის ცნობილი კვების ინსტიტუტის მიერ გაცემული დასკვნა, რომელშიც ოფიციალურად არის დადასტურებული, რომ „ბიორაგით“ დამუშავებულ სიმინდში იოდის შემცველობა იზრდება 960 პროცენტით, ხოლო სელენისა – 200 პროცენტით, რაც, ცნობილი კარდიოლოგების მონაცენებით, ასეთი პროდუქტის მიღება წარმოადგენს ინფარქტის, ინსულტისა და ჩიყვის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებას, რასაც ანალოგი არ გააჩნია. კვების ინსტიტუტის სოლიდურ ექსპერტთა დასკვნით, „ბიორაგი“, ჩატარებული კვლევების საფუძველზე, პასუხობს სანიტარიულ-კვებით ნორმებს“. უფრო მეტიც, „ბიორაგის“ საშუალებით მიღებული პროდუქტი, სასარგებლო ნივთიერებათა მაღალი შემცველობის და უნიკალური საგემოვნო თვისებებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა კვებაში. „ბიორაგის“ სასარგებლო თვისებებზე წერენ სპეციალისტები მთელ რიგ სტატიებში („Агрохимия“, „Овощи России“ და სხვა სამეცნიერო ჟურნალებში).

ნიუ-იორკში გამოიცა ორი მონოგრაფია („Compounds and Materials with Specific Properties“. Nova Science Publishers Inc., New York, 2008; „Advanced Biologically Active Polyfunctional Compounts and Composites“, New York, Nova Science Publishers Inc. 2010), სადაც გენეტიკური კვლევების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ „ბიორაგით“ მიღებული პროდუქტი არა მარტო ეკოლოგიურად სუფთაა, არამედ ხასიათდება მაღალი სამკურნალო თვისებებით.

ამას წინათ დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა სახელმძღვანელო, რომელიც მიეძღვნა მიკროელემენტების როლს მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში, სადაც აღნიშნულია, რომ „ბიორაგი“ ბევრად (3-ნ-ჯერ) აღემატება მსოფლიოში ცნობილ პრეპარატებს სელენის – ამ კაპიტალური მიკროელემენტის (რაც ინვევს ინფარქტის და ინსულტის პრევენციას) ორგანიზმში დაგროვების უნარით.

როგორც უცხოელმა სპეციალისტებმა განაცხადეს, პროფ. რ. გახოკიძემ საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ მიმართულებას – აგრომედიცინას, რადგან უკანასკნელი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ამ ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული პროდუქტები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკას და ეს ნოვაცია საფუძვლად უნდა დაედოს ახალ „მწვანე რევოლუციას“.

აღსანიშნავია აგრეთვე ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, პროფესორ ვაფა ჰაგაგის შეფასება: „პროფ. გახოკიძის შრომები ფართოდ არის ცნობილი სამეცნიერო წრეებში და მათ შეუძლიათ, რადიკალურად შეცვალონ სოფლის მეურნეობის განვითარება, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ კაცობრიობის საკვებით მომარაგებისა და გარემოს გაჯანსაღების საქმეში. კონფერენციის მრავალმა მონაწილემ გამოთქვა სურვილი, ითანამშრომლოს პროფ. რ. გახოკიძესთან თავიანთ ქვეყნებში ახალი ნოვაციების დანერგვის მიზნით“.

მაინც ვინ არის ეს კორახაშვილი? იგი ხელმძღვანელობს ანდაზით: „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება“. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ჯერ კიდევ 2005 წელს მან „პატენტი მიიღო უკუღმართი გზით, ასევე ზეპირად შეთხზულ არარსებულ, არარეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, საქპატენტის შეცდომაში შეყვანის გზით“. „მსოფლიო ბანკისგან საბუთების გაყალბებით კი 50 აშშ დოლარი“ (გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, 2005, 1 სექტემბერი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2009, 16 აპრილი). სტატიაში „გრანტიყლაპია ვაიმეცნიერი და გაბახებული სამართალი“ აღნიშნულია, რომ იგი „რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საბჭოს წევრი იყო, საიდანაც გაიცემოდა გრანტები და ძირითადად თვითონ იღებდა გრანტებს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2009, 18 აპრილი). გაზეთი „ქრონიკა“ (2013, 25 თებერვალი) წერს: „კორახაშვილს 8-ჯერ აქვს აღებული გრანტი, მისი საქმე პროკურატურაშია“ (ამ დროს გახოკიძეს აბრალებს გრანტიჭამიობას, რომელსაც, არც ერთხელ არ უსარგებლია გრანტით, რადგან, უცხოელი ექსპერტებისგან განსხვავებით, კორახაშვილი დაბალ ქულებს უწერდა). იმავე სტატიაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ „თაღლითი მეცნიერი (კორახაშვილი) აპირებს გახდეს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი“. გაზეთ „ალიაში“ (2013, 23 აპრილი) ცნობილი მეცნიერები (საქართველოს ქიმიური საზოგადოების თავმჯდომარე, პროფ. **შ. სიდამონიძე** და პროფ. **გ. პაპავა**) აღნიშნავენ, რომ „მისი (კორახაშვილის) ნაშრომი დაბალი დონეა. ეს დანაშაულია“ „ეს კაცი არის უვიცი და ქურდი“.

კორახაშვილის „საგმირო“ საქმეებს აცნობს საზოგადოებას ცნობილი ჟურნალისტი არმაზ სანებლიძეც სტატიაში „კედელს შეყრილი კაფსულირებული თესლი ანუ გრანტიჭამია პროფესორი“ (გაზ. „საქართველო და

„ალურას დაავადებით“ გამხმარი ბზა

იგივე ბზა ფესვებში „ბიორაგის“ ხსნარის ჩასხმიდან 2 კვირის შემდეგ

მსოფლიო“, 10 აპრილი, 2013 წ): „კოროხაშვილს არ აწუხებს პრესის პუბლიკაციები. რამდენჯერ დაიწერა, რა არ უწოდეს, მაგრამ ვითომც არაფერი, წყლიდან ყოველთვის მშრალი ამოდის, რადგან ამ პუბლიკაციებს არავითარი რეაქცია არ მოსდევს, მეტიც, ამ სტატიების შემდეგ მას ირჩევენ ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად“ (?!).

პლაგიატობა კლეპტომანიის სამარცხვინო სახეობაა, რაც ახლახან, რამდენიმე თვის წინათაც დაუმტკიცა კორახაშვილს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალურმა კომისიამ (მეცნიერების და იურისტების შემადგენლობით) ოფიციალურად დაადგინა მეცნიერისთვის ყოვლად მიუღებელი ეს სამარცხვინო ფაქტი. ვფიქრობ, ეს მცირე ამონარიდებიც საკმარისია კორახაშვილის პიროვნების, მისი მორალის, ზნეობის დასახასიათებლად.

იმედს გამოვთქვამ, რომ საქართველოს ეროვნული აკადემია და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება ყურადღებით წაიკითხავს ჩემს პასუხს კორახაშვილის წერილზე, განიხილავს მას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას რ. გახოკიძისა და სხვა მეცნიერების პირადი შეურაცხყოფისა და ცილისწამების გამო, რაც უზნეობის ვირუსით დაავადებული მეცნიერებისთვის მაგალითი უნდა გახდეს, ხოლო ხელისუფლების წინაშე დააყენებს საკითხს უნიკალური პრეპარატის, ბიოენერგოაქტივატორ „ბიორაგის“ ფართო მასშტაბით გამოყენების მიზნით საწარმოს შექმნისა და მისი პოპულარზაციის შესახებ, რაც ქვეყანაში დღეისათვის წარმოებული სურსათით 30%-იან თვითუზრუნველყოფას გაზრდის 100%-მდე, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზრდება მწარმოებელთა შემოსავლები, შემცირდება სიღარიბე, ამაღლდება მათი ცხოვრების დონე, სოფლებიდან გასული ხალხი დაუბრუნდება თავის ადგილ-მამულს, მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით, რაც ააცილებს ნიტრატებით და პესტიციდებით გამოწვეულ დაავადებებს. ამასთან ერთად მწვანე მასის ორ-სამჯერ გაზრდის გამო გააქტიურდება ფოტოსინთეზის პროცესი, რაც უზრუნველყოფს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მნიშნელოვან შემცირებას, ჟანგბადის რაოდენობის გაზრდას,გარემოს გასუფთავებას.

ვინაიდან „ბიორაგს“ თავისი უნიკალური თვისებების გამო მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება (რაც აღიარებულია კომპეტენტური სამეცნიერო ორგანიზაციების და მეცნიერების მიერ), მისი მნიშვნელობა ცდება საქართველოს ფარგლებს და საკაცობრიო მნიშვნელობას იძენს. საერთაშორისო მასშტაბით მისი დანერგვის შემთხვევაში მას შეუძლია ააცილოს მსოფლიოს მოსალოდნელი სასურსათო კრიზისი, (2030 წ) გლობალური შიმშილი (2050წ), მძიმე დაავადებები და გლობალური დათბობით გამოწვეული (გვალვები, ღვარცოფები და სხვა), კლიმატური კატაკლიზმები, ხოლო საქართველოს – „ბიორაგის“ მწარმოებელ ქვეყანას მოუტანოს ბიუჯეტის სოლიდური შემოსავლები.

ამ წერილს ნიუ-იორკიდან გიგზავნით, სადაც დაგეგმილი გვაქვს პრეზენტაცია ბოლო პერიოდში „ბიორაგის“ გამოყენებით მიღებული შედეგებისა და მისი ფართო მასშტაბით დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით,რის მიმართაც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული სხვა ქვეყნებთან ერთად აშშ-შიც მაღალი ინტერესია, რაც დასტურდება იმითაც რომ, აკადემიკოსი რ.გახოკიძე, რომელმაც შეისწავლა ბუნებრივ ნაერთთა ტრანსფორმაციის ახალი გზა (რომელიც მის სახელს ატარებს) არჩეულია ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოების, ასევე ფარმაკოგნოზიის საზოგადოების წევრად, დაჯილდოებულია აშშ-ის ღირსების ორდენით, კემბრიჯის ბიოგრაფიული საერთაშორისო ცენტრის მიერ კი შეტანილია საუკუნის უდიდეს მოაზროვნეთა სიაში.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი ფაქტების მიერ დამეთანხმებით, რომ ა.კორახაშვილის დაწერილი ყოვლად უსაფუძვლო, ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი პასკვილი ავტორიტეტული, წარმატებული, მაღალი რანგის მეცნიერის რამაზ გახოკიძის მიმართ გამოწვეულია „უზნეობის ვირუსით“ შეპყრობილი ადამიანის შურით, „წუხილით სხვისა სიკეთესა ზედა“.

გულწრფელად ვუსურვებ ა.კორახაშვილს ამ სამარცხვინო სენისაგან განკურნებას და თუნდაც უშუალოდ თავისი ექსპერიმენტების ჩატარების საფუძველზე (თუ ჩატარებული არ აქვს) მეცნიერ-კოლეგების შეხედულებებისა და გადაწყვეტილებების გაზიარებას, პირად მონაწილეობას ბიოენერგოაქტივატორ – „ბიორაგის“ ფართო მასშტაბით გამოყენებით ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების კეთილშობილურ საქმეში.

შოთა ჩხეიძე,

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს წარმომადგენელი NATO-ს სოფლის მეურნეობის და სურსათის კომიტეტში (1999-2005 წწ), ექსპერტი სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში

მრავალთაგან მხოლოდ ერთი ფაქტი



NIRNETCO (OVERSEAS) LTD.

P.O.Box 9320
Tel Aviv 61 092, ISRAEL
Tel: 972-9-767 0760
Fax: 972-9-767 0763
e-mail: zeev_f@yahoo.com

TO WHOM IT MAY CONCERN:

SUMMARY

Utilization in Israel of ecologically pure bio-energo-activator "Biorag" on growth and productivity of chickens resulted in increasing of their weight and stability of poultry health.

Usage of this method offered by Prof. R. Gakhokidze in poultry farming in Israel can give to the Israeli farmers an extra income of 20 mln. US Dollars per year.

We consider that this scientific development of Prof. R. Gakhokidze is one of the most important achievements in the modern biotechnology, based on ecologically pure products.

Zeev Frenkiel
President & CEO

დასკვნა

ისრაელში წიწილების ზრდასა და განვითარებაზე ეკოლოგიურად სუფთა ბიოენერგოაქტივატორ „ბიორაგის“ გამოყენების შედეგად დადგენილია ფრინველთა წონისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი მატება.

პროფესორ რ.გახოკიძის მიერ შემუშავებული ამ ახალი მეთოდიკის გამოყენება ისრაელის მეფრინველეობას მისცემს დამატებით 20 მილიონი დოლარის მოგებას წელიწადში.

მიგვაჩნია, რომ პროფესორ გახოკიძის მეცნიერული შედეგები წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას თანამედროვე მსოფლიო ბიოტექნოლოგიაში, რომელიც ეფუძნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს.

ზ. ფრენკელი,

კომპანია „Nirnetco (Overseas) LTD“-ის პრეზიდენტი

ჰილი: ჩვენ საქართველოს ბევრს დავპირდით და არ შევასრულეთ!

გასულ ხუთშაბათს, კონგრესში საიმპიჩმენტო გამოძიების ფარგლებში მოწმეთა დაკითხვა გაგრძელდა. წარმომადგენელთა პალატის წინაშე, ეროვნული უსაფრთხოების ყოფილი მრჩეველი ფიონა ჰილი წარდგა. რუსეთის საფრთხეზე საუბრისას, ჰილმა 2008 წელი და რუსეთ-საქართველოს ომი გაიხსენა.

„2008 წელს რუსეთი ასევე თავს დაესხა საქართველოს. მე მაშინ ეროვნული დაზვერვის ოფიცერი ვიყავი, და ჩვენ სხვადასხვა დოკუმენტით მთავრობის მაღალ წრეებს ვაფრთხილებდით. გვჯეროდა, რომ არსებობდა რეალური კონფლიქტის რისკი რუსეთსა და საქართველს შორის და უფრო მეტიც, ჩვენ ასევე გვჯეროდა, რომ რუსეთი შეიძლება, უკრაინას დასხმოდა თავს.

ეს 2008 წელს მოხდა, როცა ორივეს, საქართველოს და უკრაინას სურდა ნატოში წევრობის სამოქმედო გეგმის მიღება და რუსეთი მათ ღიად ემუქრებოდა, რომ თუ გააგრძელებდნენ ნატოში წევრობის მოთხოვნას, ეს უშედეგოდ არ ჩაივლიდა“, — თქვა მან.

ფიონა ჰილმა 2008 წელს რუსეთის პრეზიდენტსა და საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შორის საუბარი გაიხსენა.

„საქართველოზე თავდასხმის დროს პრეზიდენტმა პუტინმა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს ნათლად უთხრა და ეს მე საქართველოს მთავრობის მაღალი თანამდებობის პირებმა მითხრეს, რომ პუტინმა სააკაშვილს პირდაპირ უთხრა: „შენი დასავლელი მოკავშირეები, შენი დასავლელი პარტნიორები ბევრს გპირდებიან და არ ასრულებენ, მე გემუქრები და ვასრულებ“, — თქვა მან კონგრესში გამართულ მოსმენაზე.

ჰილმა ასევე აღნიშნა, რომ ვლადიმირ პუტინი ცდილობს დასავლეთის გამოცდას. **„ჩვენ საქართველოს და უკრაინას ამ პერიოდში ბევრ რამეს დავპირდით, და არ შევასრულეთ. პუტინი ყოველთვის ეძებს რაიმე ნიშანს იმისას, რომ ჩვენ არ შევასრულებთ დაპირებებს, რომელიც გავეცით, რადგან ის ყოველთვის შეასრულებს მუქარას და ის ასეც მოიქცა. ის 2008 წელს უკრაინას დაემუქრა, და 2014 წელს, როცა უკრაინა შეეცადა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დასრულებას, ის მათ თავს დაესხა. თუმცა, მთელი ეს პერიოდი ემუქრებოდა“** — თქვა მან.

ფიონა ჰილის ჩვენება მხოლოდ ერთი ნაწილია წარმომადგენელთა პალატაში მიმდინარე გახმაურებული საიმპიჩმენტო გამოძიების. ის სწავლობს, გამოიყენა თუ არა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საკუთარი თანამდებობა ბოროტად და შეუჩერა თუ არა უკრაინას დახმარება მანამ, სანამ ეს უკანასკნელი დათანხმდებოდა მისი პოლიტიკური ოპონენტის — ჯო ბაიდენის — წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას.

ემიგრაციის მაჩვენებელი შემცირების ნაცვლად იზრდება

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ წასვლის მსურველთა რაოდენობა მუდმივად მატულობს, მაგრამ შარშან ნახტომისებურად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა გარკვეული შეზღუდვები დააწესეს საქართველოდან ჩასულ მიგრანტებზე, მასობრივი გადინების ტალღას ვერაფერი აჩერებს.

„საქსტატის“ მონაცემებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ემიგრანტი (მათ შორის, ყველაზე მეტი საქართველოს მოქალაქე ემიგრანტი) 2018 წელს აღირიცხა. მაგალითად, 2015 წელს ქვეყანა დატოვა 67 452 მოქალაქემ, 2016 წელს — 67 405 კაცმა, 2017 წელს — 67 269 მოქალაქემ. შარშან კი ამ მხრივ ნახტომისებური ზრდა დაფიქსირდა. 2018 წელს საქართველოდან უცხოეთში წავიდა 76 367 ადამიანი. ჯერჯერობით უცნობია მიმდინარე წლის მაჩვენებლები, მაგრამ სანუგეშო სტატისტიკა არც წელს გვექნება.

როგორც მიგრაციის პროფილის კვლევაშია აღნიშნული, 2018 წელს ევროკავშირის ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ყველაზე მეტი არალეგალი გერმანიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში გამოვლინდა. შესაბამისად, ევროპული ქვეყნები სულ უფრო ზღუდავენ ქართველი ემიგრანტების მიღებას. ჩვენი თანამოქალაქეებისათვის პრაქტიკულად დახურულია საფრანგეთისა და გერმანიის საზღვარი.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქართველ კოლეგასთან შეხვედრის დროს საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა საკითხზე გაამახვილა ყურადღება. **ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤ ᲙᲐᲡᲢᲐᲜᲘᲔᲠᲘᲡ** თქმით, საფრანგეთის შესაბამისი უწყებები ძალიან მკაცრები იქნებიან და თავშესაფარს მხოლოდ მათ შესთავაზებენ, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებს:

„2019 წლის პირველ თვეში საქართველო იყო პირველ ადგილზე თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობით — ეს იყო ანომალია, რადგან საქართველო საფრანგეთის მიერ აღიარებულია უსაფრთხო ქვეყნად და ვიცით, რომ საქართველო არის თანამედროვე და განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ხარისხიან სერვისს სთავაზობს ხელმისაწვდომ ფასად და ხანდახან უფასოდ თავის მოქალაქეებს.

მიმდინარე წლის პირველი თვეების განმავლობაში ძალიან დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადები, რომლებიც ვიზალიბერალიზაციის ფარგლებში ჩამოვიდნენ საფრანგეთში, თუმცა 97% შემთხვევებზე თანხმობა არ იქნა გაცემული“.

ემიგრაციის საგანგაშო მაჩვენებელზე საუბრობენ ქართველი ექსპერტებიც. არასამთავრობო ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ დამფუძნებელი **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲢᲝᲛᲐᲠᲐᲫᲔ** ამბობს, რომ რუსეთისკენ ქართველი ემიგრანტები თავის დროზე ენობრივი და სავიზო ბარიერის უქონლობის გამო დაიძრნენ. ახლა კი მათი ნაწილი ევროპაში ინაცვლებს. მთავრობა კი მათ დასაბრუნებლად საერთოდ არ მუშაობს.

„დემოგრაფიის შემადგენელი ნაწილი მხოლოდ შობადობა და სიკვდილიანობა არ არის. ჩვენს შემთხვევაში, სამწუხაროდ, წამყვანი როლი ემიგრაციაზე მოდის, რომელიც მუდმივად მზარდია. გაეროს მოსახლეობის ფონდმა, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, როცა საარჩევნო თუ სხვა მიზნებით იყო გაბერილი სია, თქვა, რომ საქართველო გადაშენების პირას მყოფი ერების რიცხვშია. ბოლო აღწერითაც ხომ გამოჩნდა საგანგაშოა მდგომარეობა!

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ახალი პრემიერის სამთავრობო გეგმაში, ერთი სიტყვაც კი არ წერია დემოგრაფიაზე, რომელიც წესით ნომერ პირველი ამოცანა უნდა იყოს სახელმწიფოსათვის. ვითარება ასეთია, საქართველო ვერაფერს აწარმოებს, ვერაფერი გააქვს ექსპორტზე მოსახლეობის გარდა“, — აღნიშნა ტომარაძემ.

2018 წელს საქართველოდან წასულ ემიგრანტთა რაოდენობა გაიზარდა. ყველაზე მეტი საქართველოს მოქალაქე ისევ რუსეთში იმყოფება.

საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილში აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში რუსეთში ჩასულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა იკლებს, ხოლო იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც რუსეთი დატოვეს, იზრდება. 2018 წელს რუსეთში ემიგრაციაში საქართველოს 6 345 მოქალაქე წავიდა, ამავე წელს რუსეთიდან საქართველოში 4 314 დაბრუნდა.

ᲔᲙᲐ ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ

ასანჟი ციხეში შესაძლოა, გარდაიცვალოს

60-ᲖᲔ მეტი ექიმი მიიჩნევს, რომ ბრიტანეთის ციხეში მყოფ, **WikiLeaks**-ის დამფუძნებელს ჯულიან ასანჟის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ექიმების განცხადებით, ასანჟს სასწრაფოდ ესაჭიროება სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება და ამის შესახებ მათ ღია წერილით დიდი ბრიტანეთის შს მინისტრს პრიტ პატელს მისწერეს.

ექიმების თქმით, ასანჟი განსაკუთრებით საშიში კრიმინალებისთვის განკუთვნილი საპატიმროდან სასწრაფოდ უნდა გადაიყვანონ საუნივერსიტეტო კლინიკაში. „არსებობს რეალური საშიშროება, რომ ასანჟი ციხეში მოკვდეს“, — ამბობენ ექიმები. ჯულიან ასანჟი ლონდონში ეკვადორის საელჩოში მიმდინარე წლის 11 აპრილს, აშშ-ის მოთხოვნის საფუძველზე, მას შემდეგ დააკავეს, რაც ეკვადორის პრეზიდენტმა ლენინ მორენომ მისთვის თავშესაფრის მინიჭებაზე უარი განაცხადა. **Wikileaks**-ის დამფუძნებელს 50-კვირიანი პატიმრობა მიესაჯა.

რუსული რადიოლოკაციური სისტემა თურქეთში

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ რუსული რადიოლოკაციური სისტემის გამოცდას დაიწყებს. საუბარია ანკარას მიერ მოსკოვისგან შეძენილ „ეს-400“-ის ტიპის საზენიტო სარაკეტო სისტემაზე, რომლის გამოცდა თურქეთის დედაქალაქის სიახლოვეს არის დაგეგმილი. ინფორმაციას „სი-ენ-ენ თურქი“ ავრცელებს. ტელეკომპანიის ცნობით, გამოცდაში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავები და მათ შორის ამერიკული გამანადგურებელი „ეფ-16“. თურქ სპეციალისტებს სურთ, შეამოწმონ, რამდენად მდგრადია კავშირი საჰაერო ხომალდებსა და რუსულ სარაკეტო სისტემას შორის.

„სი-ენ-ენ თურქი“ იუწყება, რომ რადიოლოკაციური სისტემის გამოცდა ხვალამდე გაგრძელდება.

წყალდიდობა საბერძნეთსა და საფრანგეთში

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ დასავლეთ ნაწილში ხანგრძლივი წვიმით გამოწვეულ წყალდიდობას მსხვერპლი მოჰყვა. წყალდიდობას ორი ადამიანი ემსხვერპლა, მაშველებმა მათი ცხედრები ანტირიოს მუნიციპალიტეტში, ზღვაში იპოვეს.

ქვეყნის რამდენიმე რეგიონში სატრანსპორტო მიმოსვლა და ელექტროენერგიის მიწოდება შეფერხდა. ატიკის რეგიონში, რომელშიც დედაქალაქი ათენიც შედის, და თესალონიკში სასკოლო პროცესი შეწყდა. საფრანგეთში კი წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა ოთხამდე გაიზარდა. ინფორმაციას უცხოური მედია ავრცელებს. სტიქია ვარის პროვინციას გადაუღებელი წვიმის შედეგად დაატყდა თავს. მაშველები ამ დრომდე ეძებენ დაკარგულ 77 წლის მამაკაცს. სტიქიამ პრობლემები შეუქმნა სარკინიგზო მიმოსვლას, ჩახერგილია ზოგიერთი საავტომობილო გზაც.

კოკაინი წყალქვეშა ნავში

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲛᲐ სამართალდამცველებმა წყალქვეშა ნავი დააკავეს, რომელსაც სამი ტონა ნარკოტიკული საშუალება კოკაინი გადაჰქონდა. გავრცელებული ინფორმაციით, 20 მეტრის სიგრძის ნავი კოლუმბიიდან მოემართებოდა.

დაკავებულია ეკიპაჟის ორი წევრი, ეკვადორის მოქალაქეები, რომლებიც ნავის ჩაძირვას შეეცადნენ მას შემდეგ, რაც პოლიციამ მათ დასაკავებლად ოპერაცია დაიწყო. ერთმა პირმა კი მიმალვა შეძლო. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ეკიპაჟის წევრებმა ტვირთის ნაწილი მოიშორეს. ახლა სამართალდამცველები ნავის ზედაპირზე ამოყვანას ცდილობენ, თუმცა პროცესს მეტეოროლოგიური პირობები ართულებს.

◎ ჭადრაკი

ნონა ვეტერანებშიც უძლეველია

შვეიცარიული სისტემით 11 ტური გათამაშდა ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც რუმინეთის დედაქალაქმა ბუქარესტმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს ექვსი წარმომადგენელი მონაწილეობდა. განსაკუთრებულ ინტერესს 65 წელს გადაცილებულ მანდილოსანთა პირველობა იწვევდა, რადგან ამ ტურნირში უმაღლესი სინჯის მედლისთვის იბრძოდა სახელოვანი ქართველი დიდოსტატი, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი, საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის გამარჯვებული და „საჭადრაკო ოსკარის“ პირველი მფლობელი ნონა გაფრინდაშვილი, რომელმაც მთელი ტურნირი წარმატებით განვლო. 11 შესაძლებლობიდან მან 8.5 ქულა მოაგროვა და ვეტერანებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მეშვიდედ (1995, 2009, 2014, 2015, 2016, 2018, 2019 წ.წ.) დაიმსახურა. რუსები — ელენა ფატალიბეკოვა და ვალენტინა კოზლოვსკაია 8-8 ქულით, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ.

ამ ასაკის მამაკაცებში ვარლამ ვეფხვიშვილმა 7 ქულით 27-ე ადგილი დაიკავა. 8.5-8.5 ქულით პირველი-მესამე ადგილები, შესაბამისად, რაფაელ ვაჰანიანმა (სომხეთი), ანატოლი ვაისერმა (საფრანგეთი) და კარლოს პალერმო გარსიამ (იტალია) გაინაწილეს.

50 წელს გადაცილებულ მამაკაცებში 9 ქულით ჩემპიონი გახდა უკრაინელი ვადიმ შიშკინი. საქართველოს წარმომადგენლებმა — გიორგი ბაღათუროვმა, ზურაბ სტურუამ და ნიკოლოზ მანაგაძემ 7.5-7.5 ქულას მოუყარეს თავი და მეათე-მეთორმეტე ადგილები გაიყვეს. ქალებში 6.5 ქულით ციალა ქასოშვილი მე-10 ადგილს დასჯერდა, ჩემპიონობა კი 8.5 ქულით ელვირა ბერენდიმ (ლუქსემბურგი) მოიპოვა.

მარიამ დანელია

◎ ჟიუდო

ბექას ოქროს შემოდგომა

იაპონიის ქალაქ ოსაკაში დამთავრდა ძიუდოისტთა „დიდი სლემის“ შეჯიბრება ოთხი ქართველის მონაწილეობით. ტურნირზე შეუდარებელი იყო 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ბექა ღვინიაშვილი, რომელმაც ხუთ მეტოქეს აჯობა. 24 წლის ქართველმა ფალავანმა ჯერ ჩინელ ბუ ჰებილის სძლია, შემდეგ იაპონელ 2016 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ მასიუ ბეიკერსა და აზერბაიჯანელ მამადალი მეჰდიევს აჯობა, ნახევარფინალში კი მასპინძელი კენტა ნაგასავა დაჯაბნა და გადამწყეტ ორთაბრძოლაში 22 წლის უზბეკ დავლატ ბობონოვს დაუპირისპირდა. ძირითად დროში მეტოქეებმა თითო ვაზარი აართვეს ერთმანეთს, ხოლო დამატებით დროში ღვინიაშვილმა ეფექტური ილეთით დაამარცხა მეტოქე და ოქროს მედალი მოიპოვა.

ამავე წონაში ავთანდილ ჭრიკიშვილი, 73 კილოში ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი და 100 კილოში ვარლამ ლიპარტელიანი კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

მარიამ მარღია

◎ ფარიკაობა

ლუკას რაპირა უფრო მჭრელია

საქართველოში ფარიკაობას დიდი ხნისა და სასახელო ისტორია აქვს. თავად განსაჯეთ: სხვადასხვა წლებში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ნუგზარ ასათიანი (ხმალი) და ვლადიმერ აფციაური (რაპირა); ოლიმპიადის ორი ბრინჯაო ერგო დაშნაში გურამ კოსტავას, რომელმაც 1961 და 1967 წლებში მსოფლიოს ჩემპიონობა დაიმსახურა გუნდურში (ორ-ორჯერ ვერცხლი და ბრინჯაოც ხვდა); თითოჯერ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონობა იური ოსიპოვმა (რაპირა), ნუგზარ ასათიანმა და ვლადიმერ აფციაურმა; 1963 წელს ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე ოქროს მედლები გურამ ლორთქიფანიძემ (ხმალი) და ნიკოლოზ ანდრიაძემ (რაპირა) დაისაკუთრეს; ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონი სანდრო ბაზაძე უფროსებში კონტინენტის პირველობებში სამგზის ბრინჯაოს პრიზიორია; 2017 წელს თბილისში ევროპის ჩემპიონი გახდა მოხმალავე თეოდორა კახიანი.

ყოველივე ამის შესახებ ითქვა რაპირით ფარიკაობაში სეულის ოლიმპიადის გამარჯვებულის, მსოფლიოსა და საერთაშორისო მეგობრული სასპორტო თამაშების ჩემპიონ ვლადიმერ აფციაურისა და მსოფლიოს ჩემპიონის, მსოფლიოს უნივერსიადების სამივე სინჯის მედლის მფლობელ იური ოსიპოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე — აფ & ოს-ის თასის გათამაშებაზე, რომელსაც ფარიკაობის აკადემია „საბას“ დარბაზმა უმასპინძლა. მთავარი პრიზისთვის მასპინძლებთან ერთად სომეხი სპორტსმენებიც იბრძოდნენ.

შეჯიბრების ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახლავთ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, ბიზნესმენი იური ოსიპოვი, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ფარიკაობის ასაღორძინებლად და ტრადიციების აღსადგენად ბევრი რამ გაკეთდა. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ ვეტერანმა მოფარიკავეებმა საკუთარი სახსრებით ააშენეს შესანიშნავი დარბაზი და ფარიკაობის ფედერაციას აჩუქეს. მოფარიკავეთა წინსვლას, ბატონი იურის თქმით, თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილმა და ბიძინა ივანიშვილმაც შეუწყვეს ხელი.

ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საქართველოს პერსპექტიული სპორტსმენები ჰყავს რაპირით ფარიკაობაშიც. ვეტერანი მუშკეტერის სიტყვებში მალევე დავრწმუნდით, როცა საფარიკაო ბილიკებზე ჩვენი სპორტსმენები ვიხილეთ. ქომაგთა და გულშემატკივართა სიმპათიები დაიმსახურეს საქართველოს ნაკრების წევრებმა — 23-წლამდელებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ლუკა ღაღანიძემ და ლაშა გალუაშვილმა, რომლებმაც ძლიერ მეტოქეებს სძლიეს და ფინალში გავიდნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში ღაღანიძემ აჯობა თანაგუნდელს 15:8 და აფ & ოს-ის თასის პირველი მფლობელი გახდა. მეორე ადგილზე გალუაშვილი გავიდა, ხოლო მესამე ადგილები არჩილ უგულავამ და თემურ ჟუჟუნაშვილმა დაიკავეს. გამარჯვებული და პრიზიორები იური ოსიპოვმა და ვლადიმერ აფციაურის მეუღლე ირინა სხირტლაძემ დააჯილდოვეს. ორგანიზატორთა თქმით, „აფ & ოს“-ის თასის გათამაშება ტრადიციული და უფრო მასშტაბური გახდება.

— დიდი მადლობა ორგანიზატორებს ასეთი შეჯიბრებისთვის, — გვითხრა ასპარეზობის გამარჯვებულმა. — ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. მთავარი ის არის, რომ აქ პირველად გათამაშდა ჩემთვის და ყველა ახალგაზრდა სპორტსმენისთვის მისაბაძ ჩემპიონთა და ღირსეულ მამულიშვილთა სახელობის თასი. ისინი ჩვენი კერპები არიან და მათ მეტი დაფასება სჭირდებათ...

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი სამომავლო გეგმებზეც გველაპარაკა: „2 დეკემბერს ბელარუსის თასის გათამაშებაში ვიასპარეზებ. სამი წლის წინათ მსგავს ტურნირში მე-2 ადგილი დავიკავე და ახლა მთავარი პრიზისთვის ვიბრძოლებ. 8-10 იანვარს პარიზში მსოფლიოს თასი გათამაშდება. ეს სალიცენზიო ტურნირია და წარმატების მისაღწევად არაფერს დავიშურებ“.

ბაია თოფურია

სურათზე: იური ოსიპოვი, ლუკა ღაღანიძე, ირინა სხირტლაძე
ავტორის ფოტო

◎ ხელბურთი

„სამტრედიამ“ ჩემპიონი დაამარცხა

2004-2005 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს ჩემპიონატში 13 გუნდი მონაწილეობს. ისინი პირველობის ბოლო ტურებს გლდანში ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის აკადემიის დარბაზში მართავენ. შესანიშნავად თამაშობენ სამტრედიელი გოგონები, რომლებიც დასახული მიზნისკენ უდანაკარგოდ მიიწევენ. ბოლოსწინა ტურში „სამტრედიამ“ წინა პირველობის გამარჯვებული „ყვარელი“ დაამარცხა, მე-12 ტურში კი „ქარიშხალას“ სძლია და 24 ქულით დაწინაურდა. „ყვარელმა“ „ფოთს“ აჯობა და ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება.

ბოლოსწინა ორი ტურის შეხვედრათა შედეგები: „ბათუმი“ — „თელავი“ 25:17, „ტყიბული“ — „გორი“ 15:13, „ქუთაისი“ — „მამული“ 2:13, „ყვარელი“ — „ფოთი“ 19:14, „ქარიშხალა“ — „სამტრედია“ 15:25, „თელავი“ — „წყალტუბო“ 20:24, „პეგასი“ — „ქუთაისი“ 9:0, „გორი“ — „ბათუმი“ 16:20, „მამული“ — „ტყიბული“ 17:21, „ქუთაისი“ — „ყვარელი“ 2:12, „წყალტუბო“ — „გორი“ 28:32.

სატურნირო მდგომარეობა: სამტრედია — 24 (301:138), ყვარელი — 22 (294:168), ტყიბული — 18 (216:152), პეგასი — 6 (233:173), მამული — 16 (233:188), ფოთი — 12 (176:140), ბათუმი — 12 (179:180), ქარიშხალა — 10 (206:204), გორი — 8 (193:245), წყალტუბო — 6 (160:235), თელავი — 2 (172:267), აჭარა — 2 (96:221), ქუთაისი — 0 (14:162) ქულა.

ნიკა ტყემალაძე

◎ ფეხბურთი

ბოლო ტურის ინტრიგა

გასულ უქმეებზე ფეხბურთელთა ეროვნული ლიგის 35-ე ტურის მატჩები გაიმართა. განსაკუთრებულ ინტერესს ორი შეხვედრა იწვევდა: თბილისის „დინამო“ გასვლაზე ეთამაშებოდა გორის „დილას“, ხოლო ბათუმის „დინამომ“ „რუსთავს“ უმასპინძლა.

ორივე „დინამო“ ჩემპიონობისთვის იბრძვის და 3-3 ქულა მათთვის ჰაერივით აუცილებელი იყო. ასეც მოხდა - ორივე გუნდმა გაიმარჯვა. არადა, ისეთი სატურნირო მდგომარეობაა, ზღვისპირელები ფრეს თუ დასჯერდებოდნენ, ხოლო თბილისის „დინამო“ მოიგებდა, ჩემპიონის ვინაობა ვადამდე გაირკვეოდა. ფორტუნამ ინტრიგა ჩემპიონატს ბოლო ტურამდე შეუნარჩუნა.

აჭარის დედაქალაქში მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ ბათუმელებმა კაცნაკლულ მეტროქესთან 2:1 გაიმარჯვეს. თბილისის „დინამომაც“ „დილასთან“ მსგავსი ანგარიშით მიაღწია წარმატებას და ისევ ლიდერობს.

რაც შეეხება გასავარდნ ზონას, თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ კარგა ხანია, ხელი დაუქნია უმაღლეს ეშელონს. ბოლოსწინა ტურში მან შინ ქუთაისის „ტორბედოსთან“ 0:2 წააგო. ბოლნისის „სიონი“ საკუთარ მოედანზე „ლოკომოტივთან“ დამარცხდა — 1:2. ამდენად, „სიონი“ და „რუსთავი“ გადათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას და გამარჯვებული უმაღლესში დარჩება.

გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
დინამო (თბ)	35	22	6	7	68-31	72
დინამო (ბთ)	35	21	7	7	56-29	70
საბურთალო	35	20	7	8	62-35	67
ლოკომოტივი	35	16	4	15	42-45	52
ჩიხურა	35	11	11	13	46-43	44
ტორპედო	35	12	8	15	52-52	44
დილა	35	11	9	15	38-42	42
სიონი	35	10	8	17	37-75	38
რუსთავი	35	9	10	16	38-54	37
ვიტ ჯორჯია	35	4	8	23	15-48	20

ბოლო 36-ე ტურში ჩემპიონობის ბედი გადაწყდება. ორივე „დინამოს“ ისევ მოგება სჭირდება. თბილისელები უმოტივაციო „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლებენ, ხოლო ბათუმელები სტუმრად გათამაშების ცხრილის მე-4 საფეხურზე მყოფ თბილისის „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდებიან.

რაც შეეხება ბომბარდირებს, აქ 19 გოლით თბილისის დინამოელი კუტალია მეწინავეობს. ლიდერს ორი ბურთით ჩამორჩება ბათუმელი ფლამარიონი, ხოლო 14 გოლით მესამე ადგილზეა სიხარულიძე („ლოკომოტივი“).

გიორგი სამნიაშვილი

სანთელი

ლალი გვასალია

2019 წლის 23 ნოემბერს გარდაიცვალა ფილოსოფიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ლალი გვასალია.**

დაიბადა 1946 წლის 7 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში. იქვე დაამთავრა რგინიგზის მე-12 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ლალი გვასალია იყო დავით გამეზარდაშვილის, ვარლამ თოფურიას და აკაკი შანიძის გამორჩეული სტუდენტი. ამავდროულად, მასთან თანამშრომლობით დაინტერესდნენ ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორები, არაერთი თაობისთვის საყვარელი მწერლები ნოდარ დუმბაძე და ზაურ ბოლქვაძე და იმ ხანად ყველაზე პოპულარულ ჟურნალში მიიწვიეს სამუშაოდ. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თსუ-ს ასპირანტურაში ესთეტიკის მიმართულებით, სადაც მისი ხელმძღვანელი გახლდათ აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე. ლალი გვასალიას ნიჭიერება და განათლების ხარისხი პედაგოგების დაუფარავ აღტაცებას იწვევდა. ამ აღტაცებას არ მალავდნენ გამორჩეული ქართველი ფილოსოფოსები გურამ თევზაძე, ედუარდ კოდუა, მერი ჭელიძე...

ჯერ კიდევ ბოლო კურსის სტუდენტის ლალი გვასალიას ნიჭი და უნარები იმდენად დააფასეს, რომ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში ლექცია-სემინარების ჩატარება სთხოვეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან ასეთივე წარმატებით დაამთავრა უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი.

ლალი გვასალიამ ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიიღო დოცენტის წოდება თსუ-ს ესთეტიკის კათედრაზე. მას გამოცემული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და წიგნი ესთეტიკის აქტუალურ საკითხებზე. პარალელურად „ნიანგის ბიბლიოთეკის“ ეგიდით ბეჭდავდა კრებულებს, რომლებსაც დიდი მოწონება ჰქონდა საზოგადოებაში. ლალი გვასალია წლების განმავლობაში გახლდათ კერძო უნივერსიტეტ „მცირე აკადემიის“ პრორექტორი. ლალი გვასალია არის რამდენიმე მონოგრაფიისა და ბროშურის ავტორი. თავისუფლად ფლობდა გერმანულ და რუსულ ენებს.

ლალი გვასალია მისი მეუღლის დავით თაქთაქიშვილის კვალდაკვალ გატაცებული იყო ქართული რაგბით და სიცოცხლის ბოლომდე რჩებოდა ქართული რაგბის დიდ ქომაგად. ის, ნონა გაფრინდაშვილთან ერთად, იყო რაგბის კავშირის პრეზიდიუმის წევრიც. მისი რედაქტორობით გამოიცა არაერთი წიგნი ქართული რაგბის ისტორიის შესახებ.

დატვირთული პროფესიული ცხოვრების მიუხედავად, ქალბატონი ლალი ბრწყინვალე მეოჯახე იყო. მას დარჩა მეუღლე და ორი შვილი.

ამ ადამიანმა ყველგან წარუშლელი კვალი დატოვა, სადაც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა. კოლეგებში, სტუდენტებში, მეგობრებსა და, ზოგადად, საზოგადოებაში მისი კეთილშობილება, კეთილსინდისიერება და სამართლიანობა ყოველთვის დიდ აღტაცებას იწვევდა.

ლალი გვასალია იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, ჰქონდა შესანიშნავი მუსიკალური გემოვნება და ხალასი იუმორი. ის მუდამ ამაყობდა მისი სტუდენტებით და მათი მიღწევებით.

ლალი გვასალიას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

მეგობართა ჯგუფი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, პირადად მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უნიჭიერესი და უკეთილშობილესი პიროვნება, მეცნიერი, მწერალი, ჟურნალისტი, 60-70-იანი წლების შემოქმედებითი თაობების სიამაყე

ლალი გვასალია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ახლობლებს, მეგობრებს და სრულიად საქართველოს.

ხსოვნა

ალექსანდრე (საშა) ახვლედიანის გახსენება

ტკივილით, ერთობ დიდი განცდით შეიქმნა ეს წერილი, რომელსაც შენდამი დაწერილი უკანასკნელი ბარათიც კი შეიძლება ვუწოდოთ. შენი გარდაცვალებიდან ორმოცი დღე გასულა, ჩვენო სანდო და უერთგულესო მეგობარო. მართლაც რომ საიმედო და დასაყრდენო ადამიანო. შენ ხომ ბოლომდე უერთგულე პირვანდელ არჩევანს, ოჯახს, ცხოვრების მრწამს, კოლექტივს, თანამშრომლებსა და მეგობრებს... ისე კი, ისიც კარგად გვახსოვს, რომ ბავშვობაში შენი სახელი „ერთგული“ რომ იყო... ახლობლები, პატარაობიდანვე ერთგულების ნიჭით შემკულს, ყოველთვის ამ სახელით მოგმართავდნენ. ესეც ისეთივე უფლისნება იყო, როგორც შენი ნაადრევი გარდასახვა მარადიულ სასუფეველში.

მარტო ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს როდი დააკლდი, ჩვენო **საშა**, შენთან განშორება გვიმძიმს ყველას, განსაკუთრებით კი იმათ, რომლებთანაც შენი ურთიერთობა ბავშვობიდან დაიწყო; ერთად გაგვიტარებია ექვს ათეულ წელზე მეტი. თითქოს წამიერად თვალწინ გაიელვა ნორჩი „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში გატარებულმა წლებმა; განსაკუთრებით გიყვარდა სპორტის ეს სახეობა; შენი მამა, ბატონი შოთა, ხომ ბათუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მეკარე იყო..

გვახსოვს, ახალუმაღლესდამთავრებულმა ინჟინერ-მშენებელმა მშობლიური ქალაქის სახლსაშენ კომბინატში რომ დაიწყე საქმიანობა. მალე დაგაწინაურეს, ჯერ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელ რგოლსა და ბათუმის სახალხო კონტროლის სისტემაში, შემდეგ კი ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში, საიდანაც საქართველოს იმჟამინდელ უმაღლეს ორგანოში — კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაგიყვანეს. 36 წლის ასაკში შენი მშობლიური ბათუმის პირველკაცობა დაგეკისრა. მიუხედავად ახალგაზრდობისა, როგორც შეგეფერებოდა, აქაც, მთელი ხუთი წლის განმავლობაში, კომუნისტური ეპოქის დასასრულამდე, კაცურად და ნამუსიანად იღვაწე.

შემდეგ დადგა ქვეყნის დამოუკიდებლობის ეპოქა, რასაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური ყოფისა და სულიერების კარდინალური ცვლილება მოჰყვა — ხშირად იქმნებოდა გაურკვეველი ვითარება და ამ განუკითხაობის პერიოდში ცხოვრებამ კვლავ მოგიწყო დიდი გამოცდა. სწორედ ასეთ ისტორიულ ქარტეხილებში, მტკიცე ხასიათთან ერთად, კიდევ ერთხელ გამოჩნდა შენი სიდინჯე, გამჭრიახობა და ცხოვრებისეული გამოცდილება აჭარის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტზე (1992—2002). ასე რომ, ამ გამოწვევასაც პირნათლად გაართვი თავი. მერამდენედ მოგიწია „ბეწვის ხიდზე“ გავლა და აქაც შენი თავდაუზოგაობისა და ზნეკეთილობის წყალობით შეძელი სანიმუშოდ შეგესრულებინა მამულიშვილური ვალი. ყველა ეპოქაში ამაყად და ალალმართლად დადიოდი ქალაქში და ამგვარადვე დარჩი ცხოვრების ბოლომდე.

მეგობრებისა და კვალიფიციური კადრების შერჩევის უბადლო ნიჭით, პასუხისმგებლობის საოცარი განცდით იყავი გამორჩეული. მიეკუთვნებოდი იმ დიდებულ პიროვნებებს, რომელთაც მთელი სიგრძე-სიგანით აქვთ გათავისებული მოყვასის გვერდში დგომა — არ სჭირდებათ თხოვნა დახმარების გაწევაზე. დაპირებას უსათუოდ აუსრულებდი ადამიანს; შენთვის არ არსებობდა სიტყვები: „დამავიწყდა, რატომ არ შემახსენე, მაპატიე და ა. შ.“ ამიტომაც იყო, რომ არასდროს დაგჭირვებია ბოდიშის მოხდა, ყველაფერი ბუნებრივად გამოგდიოდა.

მისაბაძი და გამორჩეული იყავი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, განსაკუთრებით აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად საქმიანობისას, სადაც არაერთ მამულიშვილურ საქმეს ჩაუყარე საფუძველი; ისიც კარგად გვახსოვს, ჭარმაგობის ასაკში, ჩოგბურთში, მოყვარულთა შორის დიდი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული რომ გახდი... მართლაც რომ უშრეტი ენერგია და მტკიცე ნებისყოფა მოგმადლა უფალმა.

ყველას, ვინც გიცნობდა, ვერ წარმოედგინა, ესოდენი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობის მქონე ადამიანს რაიმე სენი თუ შეგეყრებოდა, მით უფრო უკურნებელი, არადა ...

განსაცდელმა მაინც ვერ დაგჯაბნა, საშა. არც კი წაბორძიკებულხარ, დაცემაზე რომ არაფერი ვთქვათ. პირიქით, იქით გვამხნევებდი, იმედის მუხტს გვმატებდი ყველას. ჩვენც გვჯეროდა, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებული გამოხვიდოდი...

დახვეწილი, არისტოკრატიული და ელეგანტური იყავი მარად, ფაქტობრივად ჩუმი, სიტყვაძუნწი, მაგრამ გულუხვი და გულთბილი, შეიძლება ითქვას, გულჩვილიც, ყოველთვის სიტყვის კაცი იყავი. ვერავინ გაიხსენებს თუნდაც ერთ ეპიზოდს, ვინმესთვის დაპირება არ შეგესრულებინოს, ან კიდევ რაიმე დაგეყვედრებინოს.

ამ თვისებებმა განაპირობა, რომ საზოგადოებაში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდი როგორც ახალგაზრდებში, ისე თანატოლთა და ღვაწლმოსილ პიროვნებათა შორის, არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს მასშტაბითაც. ამიტომაც არა მხოლოდ ბათუმმა გაგაცილა უკანასკნელ გზაზე, არამედ საქართველოს ყველა კუთხიდან და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამობრძანებულმა უამრავმა ღირსეულმა ადამიანმა, რომლებიც სევდამოძალებულნი გემშვიდობებოდნენ წმინდა ნიკოლოზის ტაძარში, იმ უფლისეულ სავანეში, სადაც გულუხვ შემომწირველად გიცნობდნენ სულიერი მამები.

რთულია, რითიმე ვანუგეშოთ ღვთისმოსავი და გულმოკლული შენი დედა — ჩვენი უსაყვარლესი გოგუცა დეიდა, მეუღლე — ლენა, შვილები, ოჯახის წევრები, მუდამ შენით რომ ამაყობდნენ და ამიერიდანაც იამაყებენ უკუნითი უკუნისამდე. დაე, შენი შთამომავლები ისეთი პიროვნებები გამხდარიყვნენ, მეგობრებსაც, რომ გვეამაყოს.

უამრავმა სანთელმა, რომელიც შენს სახელზე დაინთო და დაინთება, გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

ღმერთმა გაანათლოს შენი სული, ნათელო და ერთგულო მეგობარო, ჩვენს გულებში მარადჟამს დაუვიწყარო ადამიანო.

მეგობრები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და „ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალექსანდრე დიდებულიძეს გარდაეცვალა მეუღლე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

თამარ ჭელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიის აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის მეუღლე

თამარ ჭელიძე-დიდებულიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვინ უნდა ჩაატაროს 21-ე საუკუნის რუის-ურბნისის კრება?!

ეკლესიის ირგვლივ ამტყდარმა სკანდალმა ჩაიარა, მაგრამ სასულიერო პირთა სოდომურ ცოდვაში დადანაშაულება იმდენად პოპულარული თემა გახდა მსოფლიოშიც და საქართველოშიც, გამორცხული არ არის, მომავალშიც კიდევ არაერთმა მსხვერპლმა გაიხსენოს, რომ 30 წლის წინათ რომელიმე მაღალი იერარქის ძალადობის ობიექტი გახდა.

ის მძიმე ბრალდებები, რაც თითქმის ერთი თვის განმავლობაში ისმოდა ჩვენი ეკლესიის მესვეურთა მიმართ, მრევლისთვის ახალი არ ყოფილა. ასეთი ჭორმართალი 30 წლის წინაც ვრცელდებოდა და მომავალშიც გავრცელდება, თუკი ეკლესია დელიკატურად გვერდს აუვლის ამ საკითხებს და მძიმე ცოდვაში მხილებული სასულიერო პირების ეკლესიიდან გაშვებას გააჭიანურებს.

საერო კანონმდებლობით, სოდომური ცოდვა სასჯელს არ გულისხმობს, პირიქით, ბოლო დროს ჰომოსექსუალიზმის აფიშირება ზოგისთვის საამაყოც გახდა, მაგრამ ეკლესიისთვის ეს უმძიმესი ცოდვაა. პრობლემას ამძაფრებს ის, რომ სასულიერო პირებს უმრავი ადამიანის სულიერი გზის წარმართვა აბარიათ, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვების ბედიც.

დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ რუის-ურბნისის კრებაა საჭირო, მაგრამ იმის გამო, რომ დავით აღმაშენებელი არ გვყავს და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთჩაურევლობის კონკორდატია დადებული, საინტერესოა, ვინ უნდა ჩაატაროს 21-ე საუკუნის რუის-ურბნისის კრება?!

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ექსპერტი კონფლიქტების საკითხებში **პაატა ზაქარეიშვილი** For.ge-სთან საუბრისას აღნიშნავს, რომ რუის-ურბნისის კრება დავით აღმაშენებელმა, ანუ იმდროინდელმა ხელისუფლებამ ჩაატარა, თუმცა მადლობა ღმერთს, საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობით, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან, ამიტომ რუის-ურბნისის კრებაზე ზღაპარია ლაპარაკი.



„ეს აბსურდია. ვინც ამაზე საუბრობს, წარმოდგენაც არა აქვს დღევანდელ ეკლესიურ მდგომარეობაზე არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო მართლმადიდებლობაში. იმ პერიოდში არსებობდა ბიზანტიის იმპერია, შემდეგ ბიზანტიის იმპერია გაუქმდა, მერე რუსეთის იმპერია იყო, პეტრე პირველმა თავისი რეფორმები ჩაატარა რუსეთში, ყველაფერი ეს ჩაბარდა ისტორიას და სულ სხვა ფენომენი იყო მაშინ. არ შეიძლება 21-ე საუკუნეში ისტორიის ნარკვევებით საუბარი. თუ ჩვენს ეკლესიას სჭირდება კრების ჩატარება, მაშინ უნდა ჩაატაროს ეს კრება თავად. ცხადია, ეს საეკლესიო სასამართლო არ იქნება, ეს იქნება შიდა განხილვა“, — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი და შეკითხვის საპასუხოდ, „რატომ უჭირს ეკლესიას საკუთარ წიაღში მძიმე ცოდვაში მხილებული ადამიანების აღმოჩენა“, განმარტავს, რომ ეკლესიამ მაინც თვითონ უნდა იპოვოს გამოსავალი და ეკლესიის საქმეებში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს.

მისივე მოსაზრებით, ეკლესია თვითონვე შევიდა ჩიხში და თავადვე უნდა გამოვიდეს ამ ჩიხიდან. პაატა ზაქარეიშვილის თქმით, **პეტრე ცაავა** ამბობს, რომ მას აქვს სამხილი მასალები, კონკრეტული ფაქტები. ამიტომ პეტრე ცაავამ უნდა წარადგინოს ეკლესიის შიგნით ეს მასალები.

„ჩემთვის, როგორც თანამედროვე ადამიანისთვის, რთულია, ჰომოსექსუალიზმზე ვისაუბრო, როგორც მიუღებლობაზე, მაგრამ ჰომოსექსუალიზმზე საუბარი მძიმეა ეკლესიაში, ამიტომ თვითონ გაარკვიონ ამის შესახებ. რაც შეეხება საკითხს, თუ ვინ ისარგებლა საპატრიარქოზე თავდასხმებით — „ნაციონალებმა“, თუ „ოცნებამ“, ფაქტია, რომ საპატრიარქოში პრობლემები და გაურკვევლობაა, სხვადასხვა პარტია ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რაღაც მოლოდინები აქვთ... ჯერ ამ პროცესებით არავის უსარგებლია, ჯერ ყველა თავისი ინტერესებისთვის იბრძვის“, — მიიჩნევს კონფლიქტოლოგი, რომლის აზრითაც, სამწუხაროდ, საპატრიარქოს წიაღში დაპირისპირება სულ ცოტა, არჩევნებამდე და ახალ პატრიარქამდე გაგრძელდება.

ისტორიკოსი **გიორგი ოთხმეზური** საეკლესიო კანონმდებლობაში შეჭრას არ აპირებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ, თუ სასულიერო პირები გადაწყვეტენ ამ კრების ჩატარებას და ამ საკითხების განხილვას, თვითონვე უნდა შეადგინონ კომისია, შეკრიბონ სინოდი და სინოდმა გადაწყვიტოს ეს საკითხები.

„მეუფე პეტრეს ბრალდებები აბსურდია. ზუსტად ამავე მეთოდებით მუშაობდა კგბ და ამავე მეთოდით აპირებდნენ ჩვენი პატრიარქის დისკრედიტაციას, როცა მისი აღსაყდრება ხდებოდა. რაც ერი, ის ბერი. რომელიღაც სასულიერო პირები, ალბათ, იქნებიან ასეთი ცოდვით შეპყრობილნი, კგბ-დან ჩანერგილნი. მოგვიანებით კომუნისტები აღარ იყვნენ, მაგრამ მაშინდელი კგბ მაინც დარჩა და არსად წასულა. რუსული კგბ-ს წარმომადგენლობა დღემდე მუშაობს. ცხადია, იქნებიან ასეთები, მით უმეტეს, დღევანდელმა ცხოვრებამ და ამ საკითხის პროპაგანდამ ეს ყველაფერი მოიტანა. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში პირდაპირ წერია, „ალესა მახვილი მეფეთა წინააღმდეგო“, გიორგი მთაწმინდელმა მაშინდელი სასულიერო პირებიც ამხილა. ასეთი პირებისგან ეკლესია დღესაც უნდა გაიწმინდოს, მაგრამ გარედან არავინ არ უნდა ჩაერიოს ამ საკითხში. სინოდმა უნდა გაარკვიოს და მიიღოს ზომები ამ ცოდვის წინააღმდეგ. საერთოდ, საერო პირები არ მალავენ ამას, პირიქით, სასულიერო პირები მალავენ სოდომურ სენს. ისიც საინტერესოა, ეს ერთგვარი მოდა ხომ არ არის, რომ 30 წლის მერე ახსენდებათ ეს ფაქტები?! გამოვიდა დღეს ერთ-ერთი სასულიერო პირი და იხსენებს, რაც 31 წლის წინ მოხდა. დღეს სდებს ბრალს, მაგრამ 31 წელი სად იყო ეს კაცი?“ — აღნიშნა **გიორგი ოთხმეზურმა.**

კონსტიტუციონალისტმა **ავთანდილ დემეტრაშვილმა** ჩვენთან საუბრისას განმარტა, რომ ეკლესიასთან დადებული საკონსტიტუციო შეთანხმება არ ითვალისწინებს რაიმე დავების განმხილველი სპეციალური ორგანოს შექმნას. ამდენად, რელიგიური ნორმების დარღვევის შესახებ საერო სასამართლოები ვერ იმსჯელებენ.

„საეკლესიო სასამართლო არც არის აუცილებელი. სინოდი ასრულებს მის ფუნქციას, მე მგონი, ეს უფრო კარგია დემოკრატიის თვალსაზრისით“, — მიიჩნევს **ავთანდილ დემეტრაშვილი.**

მანანა ნოზაძე

აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის პათოლოგიური ანატომიის ლაბორატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დავით ცნობილაძეს მეუღლის

დარეჯან ქუთათელაძის

გარდაცვალების გამო.

თემურ ჯორბენაძე თანაგრძნობას უცხადებს დავით ცნობილაძეს მეუღლის

დარეჯან ქუთათელაძის

გარდაცვალების გამო.

ოთარ ტურაბელიძე, გიორგი ლაშხი, ზაზა ასათიანი, ზურაბ წულუკიძე, თენგიზ სულაძე, გია იაკობაშვილი, დათო ჭანტურიშვილი, თამაზ ყურაშვილი, ნოდარ ნიკოლაიშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობრებს მანანა მუსერიძესა და დათო გრიგორაშვილს დედისა და სიდედრის, უსათნოესი ქალბატონის

თამარ მუსერიძე-ლობჟანიძის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 26, 27 XI, ვასო აბაშიძის №8. დაკრძალვა 28 XI, საბურთალოს სასაფლაოზე.

საქართველოში ტყის ფართობი შემცირდა!

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) კვლევა, რომელიც 2018 წლის მონაცემებს ეყრდნობა, აჩვენებს, რომ საქართველოში ტყის ფართობი შერმცირდა.

სტატისტიკის თანახმად, 2018 წელს ტყით დაფარული ფართობი 2,68 მილიონი ჰექტარი იყო. რაც ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიების 38,6%-ია. 2017 წელს საქართველოში ტყით დაფარული ფართობი 2,69 მილიონ ჰექტარს შეადგენდა, რაც ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიების 38.7%-ია.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ ტყის ფართობი, ძირითადად ხანძრების შედეგად შემცირდა. 2017 წელს ქვეყანაში 87 ხანძარი მოხდა და 1 582 ჰექტარი დაიწვა. 2018 წელს ქვეყანაში 23 ხანძარი მოხდა და 1 931 ჰექტარი განადგურდა.

◎ მემორიალი

ჭალანჭთა დათვალიერება

უკვე მეოთხე წელია, რაც ჩვენს შორის აღარ არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, მაგიდის ჩოგბურთელთა თაობების აღმზრდელი ჯემალ მელაძე.

საყვარელი ოსტატის სიცოცხლე მის მრავალრიცხოვან შეგირდებში გრძელდება, რომლებიც თავადაც ნაყოფიერად უძღვებიან მომავალ ჩემპიონთა დაფრთიანების პროცესს.

ამ დღეებში სპორტკომპლექსმა „არენამ“ ჩვენი სპორტული ოჯახის ღირსეული წარმომადგენლის მორიგ მემორიალს უმასპინძლა, რომელიც მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გურამ გოგოლაძე) მიერ უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. ნეტავ ასეთ გულისხმიერ თავკაცს ჩემი ძმა მოსწრებოდა, რომელიც ისეთი საკითხების მოგვარებაზეც კი ზრუნავდა, როგორიც სათანადო ინვენტარის მოძიებაა — სევდიანად გვითხრა ბატონი ჯემალის დამ ლალი მელაძემ.

მაგიდის ჩოგბურთი რომ კვლავაც პოპულარულ სპორტის სახეობად რჩება, ჯემალ მელაძის ხსოვნის ტურნირმა ამჯერადაც დაადასტურა — საპრიზო ადგილებისთვის დედაქალაქის, რუსთავის, ქუთაისის, თელავის, ლანჩხუთის, აბაშის, მარტვილისა და აჭარის გუნდები იბრძოდნენ.

საპატიო კვარცხლბეკი

მინი — მინი

გოგონები: ანასტასია ტუსკია (ლანჩხუთი), თამარ და ნინი ფხაკაძეები (ქუთაისი).

ბიჭები: სანდრო მახარაძე (ქედა), ტოტო გაფრინდაშვილი (თბილისი), ნიკა უშვერიძე (ქუთაისი).

მინი — კადეტები

გოგონები: თაკო ძიძიგური (მარტვილი), თეკლა ლიპარტელიანი, ევა ქარუმიძე (თბილისი).

ბიჭები: ანრი მელაძე (აჭარა), ნიკა ჩხარტიშვილი, ილია გაგოშიძე (თბილისი).

კადეტ-იუნიორები

გოგონები: თაკო და მარი რიჟვაძეები (აჭარა), მარი კულუმბეგაშვილი (თბილისი).

ბიჭები: ცოტნე ქობულია (თბილისი), გიორგი ლიპარტია (აბაშა), გიორგი ჯინჭარაძე (თბილისი).

გიორგი ზოთაძე

◎ პოეტის ერთი ლექსი

პორტრეტი

გურამ ქაშაკაშვილს



მარტენი. წიგნი. ფოლადი.
მხატვრული ფოტო – ფერით.
ბგერის ფაქიზი ასხლეტა
ხანგამოშვებით გულზე.
პირზე – მართალი ღიმილი,
თვალებში – შუქი მღერის,
როცა მშობლიურ ბაღდათის
საყვარელ ქედებს უმზერ.

მიგნება. ფიქრი. იდეა. ხედვა. წასწრება ხელის.
მხოლოდ და მხოლოდ – ახალი. დროგადასული – ნგრევა.
ფარული აზრი – წვეთწვეთა გამჟღავნებას რო ელის
და ათასების სიმდიდრედ და საკუთრებად ქცევას.

ქველმოქმედება – რამდენი. საქმე – რამდენი დიდი.
ხარ ქვეყნის ჭირისუფალი – ყურმიდებული დროსთან.
შიგნიდან – დაძაბულობა, გარედან – სახე მშვიდი:
სახელდახელო პორტრეტი თუ ხელის მჩატე მოსმა.

მზე ლაჟვარდების ხალია, მზე – ცის ვარვარა დამღა,
ხანისწყლის ტალღა ანელებს ახლაც თიბათვის სიცხეს;
ქვეყნებს რომ მიივლ-მოივლი და სული იგრძნობს დაღლას,
წონასწორობის აღდგენას ისევ ბაღდათით იწყებ.

ქუხს სოფრომაძის მორევი, მაღლა ცა არის ჩვენი,
აქამდეც ბევრჯერ ნაქები – უსაზღვროება მისი;
და აჯამეთის ნიავის – ამ აბსტრაქტული ძღვენის
ყურთან დღემუდამ ჩურჩული და საუბარი ისმის.

გაღმა რო ციხეს უცქერი – სერზე შემომდგარს ყინჩად,
ქართლოსიანთა პირველი მეფის დანატოვ წერილს,
გულიდან ამონაყონი ცრემლი წამწამზე გიჩანს
და ჭირისუფლის უღელი ლაბა ხარივით გშვენის.

ქუჩაში იის მკრეფავის მჩატე ნაბიჯით დახვალ,
გავარვარებულ ფოლადთან ძმად შეფიცული კაცი;
იარე, იმდენ წელიწადს – ა, ჩემი გულის ზრახვა –
რამდენ წვეთ ღვინოს დაიტევს კელენჯერიძის ყანწი.

ქარ-ნიავს აიყოლიებს – ფანტავს თავისთავს ასე,
ლიანთხის თავზე ღრუბელი – დამფრთხალი ქორის ჩრდილი...
რკინას რო ათვინიერებ – პორტრეტს თანდათან ვავსებ –
ცამდე ხელი გაქვს აწვდილი – ევერესტს იპყრობს შვილი.

წოდებებს აღარ ჩამოვთვლი, კაცად უხდები ყოველს,
სულ წარმატება გეწეროს, ღმერთმა გაშოროს ავი;
მე შენს ხალიბურ მზერაში დამთმობი ჩრდილიც ვპოვე
და ორჯერ გაგიერთგულე ერთხელ ერთგული თავი.

მარტენი. წიგნი. ფოლადი. მხატვრული ფოტო – ფერით.
ბგერის ფაქიზი ასხლეტა ხანგამოშვებით გულზე.
პირზე – მართალი ღიმილი, თვალებში – შუქი მღერის,
როცა მშობლიურ ბაღდათის საყვარელ ქედებს უმზერ.

ზაალ ებანოიძე

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„კულტურული მრავალფეროვნება – საქართველო და მექსიკა“

მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში, კოიოკანის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში, საქართველოს შესახებ გამოფენა გაიხსნა.

გამოფენა საქართველოს ელჩის ზურაბ ერისთავის კონფერენციით გაიხსნა, რომელიც მიეძღვნა ქართულ კულტურას, ენას, დამწერლობასა და ლიტერატურას, ასევე – კავკასიის ეთნოლინგვისტურ თავისებურებებს, საქართველოს ისტორიისა და დღევანდელობის მნიშვნელოვან ასპექტებს.

კონფერენციის დასასრულ, ზურაბ ერისთავმა სტუმრების შეკითხვებს უპასუხა, გააცნო ქვეყნის მზარდი ტურისტული პოტენციალი. საპატიო სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს საელჩოს, მომხსენებლებს, მასპინძლებს და დიდი ინტერესით დაათვალიერეს გამოფენა.

წიგნი მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროში მომლოცველობის შესახებ

დანიის სამეფოში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა შვედი ავტორის კარლ ანდერს ბრაიტჰოლცის წიგნის პრეზენტაციას „რვა დღე საქართველოში: წიგნი მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სამყაროში მომლოცველობის შესახებ“.

კარლ ანდერს ბრაიტჰოლცი ექვსი წლის წინათ გახდა მართლმადიდებლური ეკლესიის წევრი. მან ამ ხნის განმავლობაში საქართველოსა და წმინდა ათონის მთაზე მოსალოცად იმოგზაურა. საკუთარ წიგნში ბრაიტჰოლცი აღწერს საქართველოს კულტურულ მრავალფეროვნებასა და ისტორიულ სიმდიდრეს.

გარდა ისტორიული და რელიგიური ფაქტებისა, წიგნი მდიდარია ავტორის შთაბეჭდილებებით. შვედი მართლმადიდებლის მიერ დანახულმა საქართველომ აუდიტორიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

წიგნის პრეზენტაციის შემდეგ საელჩო დამსწრე საზოგადოებას მიღებითა და ქართული ღვინით გაუმასპინძლდა, რომელზეც მსმენელს საშუალება ჰქონდა, პირადად გასაუბრებოდა წიგნის ავტორს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ შვედური და დანიური მართლმადიდებლური მრევლის, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საბავშვო ევროვიზიაზე პოლონეთმა გაიმარჯვა

საბავშვო ევროვიზია 2019-ის გამარჯვებული ისევ პოლონეთი გახდა. კონკურსი ვიკი გაბორიმ მოიგო, რომელმაც სიმღერა Superhero შეასრულა. მან კონკურსზე ჯამში 278 ქულა მიიღო. საქართველოს წარმომადგენელმა გიორგი როსტიაშვილმა 69 ქულით 19 კონკურსანტს შორის მე-14 ადგილი მოიპოვა. მან დათო ევგენიძის სიმღერა „we need love“ შეასრულა.

კონკურსი პოლონეთის ქალაქ გლივიცეში ჩატარდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„ კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9749; ევრო - 3.2899;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8305;
100 რუბლი - 4.6709; თურქული ლირა - 0.5223;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7569;
1000 სომხური დრამი - 6.2459

ამინდი 26 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-5,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-9,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+17
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge